7. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად საერთაშორისო სასწავლო გრანტებში ჩართულია საუნივერსიტეტო საზოგადოების ნაწილი - ადმინისტრაციული პერსონალი, დოქტორანტები.

8. აღსანიშნავია აკადემიური პერსონალის აქტივობის მაღალი მაჩვენებელი სხვადასხვა მაღალრეიტინგული სამეცნიერო ნაშრომების, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო გამოცემების რედაქტორობის, რედაქციური წევრობის, რეცენზენტობის კუთხით.

9. აკადემიური პერსონალის ერთწლიანი ანგარიშების შესწავლისას გამოიკვეთა გარკვეული გარემოები: ზოგიერთი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობა შედარებით დაბალი მაჩვენებლებით იყო წარმოდგენილი, შევსებული ანგარიშების გარკვეულ ნაწილში ასახული აქტივობები საჭიროებდა დაზუსტებას, კორექტირებას.

რეკომენდაციები:

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ანალიზი განხილული იქნეს თითოეულ ფაკულტეტზე.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი თითოეული აკადემიური სასწავლო წლების დადარებული ანგარიშები მეტი სიცხადისთვის გააცნონ აკადემიურ პერსონალს.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ მოხდეს მიზეზების იდენტიფიცირება იმ აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში, რომელ აკადემიურ პერსონალსაც ბოლო 2-3 წლის მანძილზე „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესთან“ შედარებით სამეცნიერო პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებლები აქვთ.

4. აღნიშნული რეკომენდაცია ისევ რელევანტურია ზოგიერთი აკადემიური პერსონალის მიმართ, ამიტომ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებმა მონიტორინგი გაუწიონ აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი „აკადემიური პერსონალის სასწავლო წლის ანგარიშში“ ასახული მონაცემების შესაბამისობას (მათ შორის: დაანგარიშებული აქტივობების საათების რაოდენობა, განხორციელებული აქტივობების წლები, აქტივობის სრული დასახელება, შესაბამისი გრაფა და სხვ.).

5. აღნიშნული მასალა ინფორმაციის სახით გადაეცეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა 2024-2025 სასწავლო წელი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის 2024-2025 სასწავლო წლის კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობდა აკადემიური პერსონალი 50,7% და მოწვეული პერსონალი - 49,3%

კითხვაზე, რამდენად კმაყოფილი ხართ აკადემიური/მოწვეული პერსონალისადმი სტუდენტების დამოკიდებულებით?

- გამოკითხულთა 86,8%-მა უპასუხა, რომ სრულიად კმაყოფილია სტუდენტების დამოკიდებულებით;
- გამოკითხულთა 11,8%-მა უპასუხა, რომ მეტწილად კმაყოფილია სტუდენტების დამოკიდებულებით;
- გამოკითხულთა 1,4%-მა უპასუხა, რომ ნაწილობრივ კმაყოფილი სტუდენტების დამოკიდებულებით.

კითხვაზე რამდენად კმაყოფილი ხართ სტუდენტთა შეფასებით სისტემით?

- გამოკითხულთა 80,9%-მა უპასუხა, რომ სრულიად კმაყოფილია სტუდენტთა შეფასებით სისტემით;
- გამოკითხულთა 17,6%-მა უპასუხა, რომ მეტწილად კმაყოფილია სტუდენტთა შეფასებით სისტემით;

- გამოკითხულთა 31,3%-მა უპასუხა, რომ მეტწილად კმაყოფილია კითხვაზე რამდენად კმაყოფილი ხართ უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დამოკიდებულებით;
- გამოკითხულთა 1,5%-მა უპასუხა, რომ ნაწილობრივ კმაყოფილი კითხვაზე რამდენად კმაყოფილი ხართ უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დამოკიდებულებით.

კითხვაზე გაქვთ თუ არა საშუალება მონაწილეობა მიიღოთ სხვადასხვა პროექტში? საერთაშორისო მობილობაში?

- სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის მიღების საშუალება აქვს გამოკითხულთა 88,2%, ხოლო 11,8% აფიქსირებს, რომ არა აქვს სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის მიღების საშუალება.

კითხვაზე გთავაზობთ, თუ არა უნივერსიტეტი მხარდაჭერის მექანიზმებს პროფესიული განვითარების კუთხით?

- გამოკითხულთა 94,1%-მა უპასუხა, რომ უნივერსიტეტი თავაზობს მხარდაჭერის მექანიზმებს პროფესიული განვითარების კუთხით;
- გამოკითხულთა 5,9%-მა უპასუხა, რომ უნივერსიტეტი არ თავაზობს მხარდაჭერის მექანიზმებს პროფესიული განვითარების კუთხით;

კითხვარში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული მოსაზრებების დაფიქსირებას. თითოეული კომენტარი იყო განხილული, რომელთაგან იდენტიფიცირდა საკითხები, რომლებიც აისახა პროგრამების სასწავლო გეგმებში (მაგალითად, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების სახით დამატა სასწავლო კურსი „ნადირთმცოდნეობა“).

დასკვნები (საყურადღებო საკითხები):

- ჩაღრმავებული ინტერვიუს საშუალებით დაკონკრეტდეს აკადემიური/მოწვეული პერსონალის საჭიროებები და პერსონალისთვის დაორგანიზდეს შეხვედრები;
- წინასწარ გაიწეროს პროფესიული განვითარების მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების გეგმა და ეცნობოს პერსონალს;
- პროგრამების განვითარების მიზნით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებმა დააიდენტიფიცირონ იმ სასწავლო კურსების საჭიროება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, რომლებიც აკადემიური/მოწვეული პერსონალის მხრიდან არის შემოთავაზებული.
- „აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასის მომატების საკითხი განსახილველად გადაეცეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პირველკურსელთა კვლევა

2024-2025 სასწავლო წელი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელთა 2024-2025 სასწავლო წლის კვლევა ითვალისწინებდა ინფორმაციის მოკრებას სტუდენტთა ინსტიტუციური, რესურსებით, მხარდაჭერის მექანიზმებისა და სხვა ხელშემწყობი ღონისძიებების ინფორმირებულობისა და კმაყოფილების შესახებ, პირველი შთაბეჭდილებისა და მოლოდინების იდენტიფიცირებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ემზადება პირველკურსელებთან შესახვედრად. კერძოდ, ხდება პირველი სასწავლო კვირისთვის დღის

წესრიგის შემუშავება, რომელშიც პირველი ხუთი დღის განმავლობაში გათვალისწინებულია სხვადასხვა აქტივობა: საინფორმაციო, შემეცნებითი, საკონსულტაციო (მხარდამჭერი ღონისძიებების), გასართობი და სხვ. უნივერსიტეტის თითოეული რგოლის ფუნქცია-მოვალეობის გაცნობა სტუდენტებისათვის, რათა სტუდენტი სწრაფად ადაპტირდეს ახალ გარემოში და სწავლა-განათლებაზე იყოს ორიენტირებული.

კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ კითხვარი, რომელიც შედგებოდა ქვემოთ მოცემული კითხვებისგან, მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ ინფორმაციას. გამოკითხვა ატარებდა ანონიმურ ხასიათს და იყო ნებაყოფლობითი.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა, სულ 69 სტუდენტმა.

პირველკურსელთა კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა მიიღო 69 რესპოდენტმა, ხოლო მონაწილეთა საერთო რაოდენობა ფაკულტეტების შესაბამისად პროცენტულად ასე გადანაწილდა:

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 8,2 %;

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 45,9 %;

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი - 39,2%;

იურიდიული ფაკულტეტი - 6%.

დასკვნები

1. მიმდინარე, 2024-2025 სასწავლო წლის პირველკურსელთა წინამდებარე ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევაში გასულ წლებთან (შარშან 116 სტუდენტი) შედარებით ნაკლებმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა (წელს 69 სტუდენტი მონაწილეობდა); კვლევაში ჩართული სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებლები ზოგიერთ საკითხთან მიმართებით პროცენტულად საკმაოდ გაზრდილია, თუმცა რჩება გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას.
2. მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხები არ გამოკვეთილა, თუმცა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები განიხილავენ დაწვრილებით და უკუკავშირს მოაწვდიან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

გასატარებელი ღონისძიება:

1. პირველკურსელთა ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევის შედეგები ეცნობოს თითოეული სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს სტუდენტთა ინფორმაციულობის გაზრდის მიზნით;
2. სტუდენტებს ავუხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია ინსტიტუციის გაძლიერებისთვის სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, მათი კმაყოფილება და კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა.
3. წინამდებარე საკითხებთან დაკავშირებით, რეაგირებისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინფორმაციას მიაწვდის უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
4. ტრადიციულად, გარკვეულ საკითხებზე ჩაღრმავებული ინტერვიუები სტუდენტებთან შედგება რექტორის საათზე.
5. თითოეულ საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა სტუდენტებს გააცნონ კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და შესაბამისად, უკუკავშირისთვის გატარებული ღონისძიებების შედეგები.

2024-2025 სასწავლო წელი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, ისევე როგორც ზოგადად საგანმანათლებლო სივრცეში, თანამედროვე უმაღლესი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა ჩართულობა. უნივერსიტეტი სტუდენტთა ჩართულობას განიხილავს, როგორც სტუდენტთა და საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა რესურსების ურთიერთქმედებას სწავლის შედეგების ზრდისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისთვის. ხარისხის სამსახურს მიაჩნია, რომ სტუდენტთა ჩართულობა დადებით გავლენას მოახდენს სტუდენტების სწავლის დონის ამაღლებაზე. რადგან სტუდენტს თუ ექნება საშუალება გამოხატოს საკუთარი აზრი, რომლის შედეგადაც უნივერსიტეტში განხორციელდება პოზიტიური ცვლილებები, სტუდენტს გაეზრდება მოტივაცია და თავდაჯერებულობა, რაც შედეგად აისახება მათ სასწავლო საქმიანობაში.

კვლევის მიზანი და ამოცანები

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის, აღნიშნული პროცესისადმი ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისა და დაწესებულების დამოკიდებულების განსაზღვრა;
2. სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით კმაყოფილების დონის განსაზღვრა.
3. კვლევის ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგების იდენტიფიცირება და გასული წლის კვლევის შედეგებთან დადარება.
4. ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა.

უნივერსიტეტის მასშტაბით ბაკალავრების კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობდა უნივერსიტეტში მოქმედი ოთხივე ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის საბაკალავრო საფეხურის 90 სტუდენტი. მათი მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი ფაკულტეტების შესაბამისად შემდეგ სურათს გვაძლევს:

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 25,6%
- იურიდიული ფაკულტეტი - 26,7%;
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი - 8,9%;
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი - 38,9%.
- **მიგნებები:**
- **სტუდენტების პასიურობა**
- ა) კითხვარების შევსებაში მონაწილე რესპოდენტთა რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, მიმდინარე 2024-2025 სასწავლო წელსაც გარკვეული პასიურობა დაფიქსირდა, 26 რესპოდენტით ნაკლებმა სტუდენტმა მიიღო გამოკითხვაში მონაწილეობა გასულ წელთან შედარებით. ეს გასაგები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა მოსაზრებები და სურვილები დარჩებოდა მხოლოდ კითხვარში კომენტარების სახით. მაგრამ, უნივერსიტეტში ბოლო წლების მანძილზე დამკვიდრებული **საუკეთესო პრაქტიკა - რექტორის საათი**, ფაკულტეტის საბჭოებზე მიგნებების განხილვა და უკუკავშირები, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრასთან ერთად ადასტურებს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მუშაობის გამჭვირვალობას, რისი ნათელი დადასტურებაცაა კვლევების შედეგად გამოკვეთილი მიგნებების: სტუდენტების მოსაზრებებისა და საჭიროებების მიწოდება რექტორატისთვის და ხელმძღვანელობის მხრიდან აღნიშნულ საკითხებზე მყისიერი რეაგირება.
- ბ) რადგან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დასახელებული სტუდენტთა ჩართულობის ძირითადი ინსტრუმენტებისა და სტუდენტებისგან ინფორმაციის მიღების საშუალებებისადმი სტუდენტების დამოკიდებულება ნაკლებად აქტიური ხასიათისაა, შესაბამისად,

კვლევაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის ორ მნიშვნელოვან რგოლს შორის კომუნიკაცია კიდევ უფრო დახვეწასა და გაუმჯობესებას საჭიროებს.

- გ) კვლევის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა ჩართულობა განაპირობებს სტუდენტების მხრიდან უნივერსიტეტით კმაყოფილების დონეს, შესაბამისად, რაც უფრო მაღალია სტუდენტთა ჩართულობა, მით უფრო მაღალია მათი საუნივერსიტეტო გარემოთი კმაყოფილების მაჩვენებელი, ხოლო ზოგიერთ ისეთ საკითხზე, როგორიცაა სახელმძღვანელოებზე, კომპიუტერების გამართულ მუშაობაზე, საერთო საცხოვრებლის არ არსებობასა და სხვა საკითხებზე სტუდენტების კომენტარები, აღნიშნულ საკითხებს განიხილავენ ფაკულტეტებსა და შესაბამის ადმინისტრაციულ სამსახურებში და უკუკავშირის მიღებისთანავე მოხდება მყისიერი რეაგირება.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა 2024-2025 სასწავლო წელი

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში ჩატარდა მაგისტრანტების კმაყოფილების კვლევა. კვლევაში მონაწილეობდა 39 მაგისტრანტი.

მათ შორის:

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტიდან კვლევაში მონაწილე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 39,1%;

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან კვლევაში მონაწილე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 38,9%;

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან კვლევაში მონაწილე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 22%;

კვლევაში მონაწილეობდნენ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, აგროტექნოლოგიის, ბიზნესის ადმინისტრირების, ბიზნესინფორმატიკის, ასტრონომიის, ქართველური ენათმეცნიერების, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები.

კვლევა ითვალისწინებს:

• ი კვლევის მიზნის, ამოცანის იდენტიფიცირებას. მიგნებების გამოკვეთას, დასკვნების გამოტანასა და რეკომენდაციების შემუშავებას.

• ი ინსტიტუციური ხასიითის ზოგადი მიგნებების დადარებას გასული წლის კვლევის შედეგებთან და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებთან (კერძოდ, სტუდენტთა მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უკუკავშირი სტუდენტთა მიერ მათი მუშაობის შეფასებაზე).

• ი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას;

• ი ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავებას;

• ი შესაბამისი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულებისთვის კვლევის შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.

• ი კვლევების შედეგების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში.

საკითხები, რომელზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს:

- ნებისმიერი პასუხი რომელიც კითხვას აფასებს „ნაწილობრივ შესაბამისად“ შესწავლილი იქნეს თითოეულ ფაკულტეტზე ჩადრმავებული ინტერვიუების სახით.
- შენარჩუნდეს და გაუმჯობესდეს კარგი პრაქტიკა იმ საკითხებთან მიმართებით, რომელზეც გაზრდილია კმაყოფილების კვლევის მაჩვენებლები.

რეკომენდაცია:

აღნიშნული საკითხების განხილვა მოხდეს თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებში საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, მაგისტრანტების ხელმძღვანელებთან და უკუკავშირი დაუბრუნდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი დოქტორანტების კმაყოფილების კვლევა 2024-2025 სასწავლო წელი

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და მისი ორგანიზაციული განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის, აღნიშნული პროცესისადმი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის სტუდენტებისა და დაწესებულების დამოკიდებულებისა და სტუდენტთა მხრიდან უნივერსიტეტის განათლების ხარისხით, სამეცნიერო ხელმძღვანელით კმაყოფილების დონის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იქნა **თვისებრივი** და **რაოდენობრივი** მეთოდები. ამ მიზნით სპეციალურად განახლდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მატრიცა. სამიზნე აუდიტორიად განისაზღვრა უმაღლესი განათლების მესამე საფეხური - დოქტორანტურა (საუნივერსიტეტო გარემოთი და სამეცნიერო ხელმძღვანელით კმაყოფილებასთან დაკავშირებით დოქტორანტების კვლევა). კვლევა ჩატარდა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების: ქართული ფილოლოგიის, ვეტერინარიის, ეკონომიკის, ინფორმატიკის, აგრონომიის, საქართველოს ისტორიის, ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დოქტორანტების მონაწილეობით ელექტრონული პლატფორმა MOODLE-ის ფორმატით, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ანონიმურობასა და ნებაყოფლობითობას.

გამოკითხვა, ტრადიციულად, ჩატარდა 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში, რაც მიზანდასახულად წინ უსწრებდა სტუდენტების მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების გამოკითხვებს.

კვლევა ითვალისწინებდა:

- ა) ინსტიტუციური ხასიათის ზოგადი მიგნებების დადარებას გასული წლის კვლევებსა და შემდგომ ეტაპზე დაგეგმილ კვლევებთან (კერძოდ, სტუდენტთა მიერ პროგრამითა და სამეცნიერო ხელმძღვანელის მუშაობის კმაყოფილებას).
- ბ) ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას;
- გ) ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავებას;
- დ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის კვლევების შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისათვის უკუკავშირის მისაღებად.
- ე) კვლევების შედეგების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში;

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი სადოქტორო პროგრამები:

- ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა;
- საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა
- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა;
- აგრონომიის სადოქტორო პროგრამა;
- ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამა;
- ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- Astronomy Joint Doctoral Programme of LEPL Samtskhe-Javakheti State University and LEPL E. Kharadze National Astrophysical Observatory;

დოქტორანტების კმაყოფილების კვლევის ანალიზი

დოქტორანტების კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობდა უნივერსიტეტში მოქმედი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების 18 დოქტორანტი. კვლევის თითოეულ დებულებას დოქტორანტების მხრიდან გაეცა შემდეგი პასუხები (ზოგიერთი კითხვის შემთხვევაში დოქტორანტს შეეძლო დაეფიქსირებინა ერთი ან რამდენიმე პასუხი, ანუ მოენიშნა ყველა შესაბამისი ველი):

1. **სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია (მონიშნეთ ყველა შესაბამისი ველი).**
 - სამეცნიერო კვლევის განხორციელების შესაძლებლობა, უპასუხა 88,9 %-მა.
 - კარიერაში წინსვლის მეტი შესაძლებლობა, უპასუხა 55,6 %-მა.
 - შემოსავლების გაუმჯობესება, უპასუხა 27,8 %-მა.
 - პრესტიჟი უპასუხა, 22,2 %-მა.
 - და სხვ.

კითხვაზე: სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია დოქტორანტებს გაცემული აქვთ ყველა ის პასუხი, რომლითაც იკვეთება მიზანდასახულობა კონკრეტული სადოქტორო პროგრამის მიმართ, რამ განაპირობა მათი არჩევანი. კერძოდ, დოქტორანტების უმეტესობას მიაჩნია, რომ ეს არის სამეცნიერო კვლევის განხორციელების შესაძლებლობად (რესპოდენტთა 88,9 %), რომ ეს არის კარიერაში წინსვლის მეტი შესაძლებლობა (უპასუხა 55,6 %-მა), შემოსავლების გაუმჯობესება (უპასუხა 27,8 %-მა), პრესტიჟი (უპასუხა 22,2 %-მა).

რა ცვლილებას შეიტანდით პროგრამის განვითარების მიზნით?

არაფერს.

ამ უნივერსიტეტში პროგრამის განვითარებაში დიდი მცდელობებია

სასურველია შეიქმნას დოქტორანტებისთვის განკუთვნილი ლაბორატორია, რომელც თანამედროვე ტექნოლოგიებით იქნება დაკომპლექტებული და დოქტორანტს მისცემს საშუალებას კვლევები ჩაატაროს სწრაფად და ეფექტურად.

დღეისათვის არაფერს, სამომავლოდ თუ შეიცვალა მოთხოვნილება, შესაძლებელია პროგრამაც იმის მიხედვით შეიცვალოს.

სავსებით ვეთანხმები არსებულ სტატუსს!

მეტი ურთიერთობისა და გამოცდილებისთვის პროექტების დამატებას ვისურვებდი გამომდინარე იქიდან რომ ახალი სტუდენტი ვარ თქვენს უნივერსიტეტში, ჩემს მოსაზრებებს პერიოდულად გავაცნობ ჩემს ხელმძღვანელს.

ჩემი აზრით საკმაოდ კარგი პროგრამაა.

ამ ეტაპზე არ შევიტანდი. მაგრამ პროგრამას აკედიტაციის პრობლემა რომ ქონდა ამან შედარებით ცუდად იმოქმედა ჩემს კარიერულ წინსავლაზე. ვიმოდევნებ რომ მსგავსი პრობლემები არ იქნება მომავალში და უნივერსიტეტიც შესაბამისად მზად დახვდება.

ამ ეტაპზე სრულიად მისაღებია

ამ ეტაპზე არაფერს

ამ ეტაპზე არავითარს

არაფერს.

პრაქტიკის პერიოდში სასურველია დაკვირვებების სიხშირის გაზრდა.

საკითხები, რომელზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს:

- ნებისმიერი პასუხი რომელიც კითხვას აფასებს „ნაწილობრივ შესაბამისად“ შესწავლილი იქნეს თითოეულ ფაკულტეტზე ჩაღრმავებული ინტერვიუების სახით.
- შენარჩუნდეს და გაუმჯობესდეს კარგი პრაქტიკა იმ საკითხებთან მიმართებით, რომელზეც გაზრდილია კმაყოფილების კვლევის მაჩვენებლები.

რეკომენდაცია:

აღნიშნული საკითხების განხილვა მოხდეს თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებში საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან და უკუკავშირი დაუბრუნდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტთა მიერ
პროგრამის ვადაში დასრულების ანალიზის შედეგები

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საანგარიშო პერიოდში მოქმედებს რვა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც ხორციელდება:

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	პროგრამის მოქმედების ვადა
12.	ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ქართული ფილოლოგიის დოქტორი/ PhD in Georgian Philology კოდი 0232	40 კრედიტი	აკრედიტებული - 15/02/2023 წ. №MES 9 23 0000178409	7 წლით
13.	საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ისტორიის დოქტორი/Doctor of History კოდი - 0222	45-60 კრედიტი.	აკრედიტებული - 03/02/2023 MES 1 23 0000124112	7 წლით

განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2014-2019 წლამდე ხორციელდებოდა „ჰუმანიტარული მეცნიერებათა“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სამი მიმართულებით (ქართული ფილოლოგია, ისტორია, ეთნოლოგია).

ჰუმანიტარული მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ქართული ფილოლოგიის მიმართულებით 2018 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 2 დოქტორანტმა, ხოლო 2019 წელს - ერთმა დოქტორანტმა.

ჰუმანიტარული მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ქართული ფილოლოგიის მიმართულებით 2018 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ერთმა დოქტორანტმა, 2019 წელს - ერთმა დოქტორანტმა.

ჰუმანიტარული მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ქართული ფილოლოგიის მიმართულებით დოქტორანტის მიერ დაცული დისერტაციის თემის სახელწოდება:

1. დოქტორანტ ნათელა მელიქიძის სადისერტაციო ნაშრომის თემა: „ასპინძის მუნიციპალიტეტის ანთროპონიმთა სტრუქტურა და სემანტიკა“;

სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი მერაბ ბერიძე;

შეფასება: ძალიან კარგი (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; დაცვის თარიღი - 2018 წელი

2. დოქტორანტ იოსებ გიქოშვილის სადისერტაციო ნაშრომის თემა: „გიორგი შატერაშვილის შემოქმედების პრობლემატიკა“.

სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი ვახტანგ ინაური;

შეფასება: ძალიან კარგი (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; დაცვის თარიღი - 2019 წელი

ჰუმანიტარული მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ისტორიის მიმართულებით 2018 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ერთმა დოქტორანტმა.

1. საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნისა და მოღვაწეობის ისტორია (1917 წ. ნოემბერი - 1919 წ. იანვარი);

სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი: პროფესორი ვახტანგ გურული;

შეფასება: ძალიან კარგი (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; დაცვის თარიღი - 2018 წელი

განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2021 წლიდან ამოქმედდა ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მობილობის წესით ჩაირიცხნენ სტუდენტები.

2022 წელს სადისერტაციო ნაშრომი დაიცვა სამმა დოქტორანტმა.

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წელს შიდა მობილობით 4 დოქტორანტი ჩაირიცხა ენათმეცნიერების მიმართულებით, ხოლო 2 დოქტორანტი - ლიტერატურის მიმართულებით.

2021-2022 სასწავლო წელს 3 დოქტორანტი ჩაირიცხა ენათმეცნიერების მიმართულებით, ხოლო 2 დოქტორანტი - ლიტერატურის მიმართულებით.

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების მიერ დაცული დისერტაციების თემების სახელწოდება:

1. დოქტორანტ ნინო მეგენიშვილის სადისერტაციო ნაშრომის თემა: **ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლის“ კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი;**

სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნესტან სულავა;

შეფასება: ფრიადი (summa cum laude) შესანიშნავი ნაშრომი;

2. დოქტორანტ ჟანა ხაჩატურიანის სადისერტაციო ნაშრომის თემა: **სახელთა ბრუნება ქართულსა და სომხურ ენებში;**

სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მანანა ტაბიძე;

შეფასება: ფრიადი (summa cum laude) შესანიშნავი ნაშრომი;

3. დოქტორანტ სალომე ზვიადაძის სადისერტაციო ნაშრომის თემა: **ძველი ქართული ტიპიკონი: ლიტურგიული ტრადიცია და სიახლე.**

სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნესტან სულავა;

შეფასება: ძალიან კარგი (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

ამჟამად ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ირიცხება ხუთი დოქტორანტი, ერთი მათგანი, ნინო ზედგინიძე, რომელიც მობილობის წესით გადმოვიდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამიდან, დასრულებული აქვს სასწავლო კომპონენტი და ემზადება დისერტაციის დასაცავად.

1. **დოქტორანტ ნინო ზედგინიძის** დისერტაციის თემა: „ქართული ონომასტიკური ტერმინოლოგია ევროპულ ენათა კონტექსტში“. ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე.

ბრძანებები: ჩარიცხვის ბრძანება N 2/150; 24.10.2017; პროგრამის აკრედიტაციის ვადის გამო სტატუსის შეჩერების ბრძანება N1540129; 02.12.2022; სტატუსის აღდგენა N 697787; 15.06.2023

დანარჩენი ოთხი დოქტორანტი ირიცხება მეოთხე სემესტრში. ექვსი სემესტრის განმავლობაში უნდა დაასრულონ პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კომპონენტები და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტი:

2. **დოქტორანტ ლელა თელიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის თემა: „ახალციხის მუნიციპალიტეტისა ანთროპონიმია“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე.

ბრძანებები: ჩარიცხვის - N310285; 25.03.2022; პროგრამის აკრედიტაციის ვადის გამო სტატუსის შეჩერების ბრძანება - N1540129; 02.12.2022. სტატუსის აღდგენის N734206; 21.06.2023

3. **დოქტორანტ ხატია მეკოკიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის თემა: „თანამედროვე ენობრივი სიტუაცია ჯავახეთში“, სამეცნიერო ხელმძღვანელი ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მაია ქუჭიშვილი;

ბრძანებები: ჩარიცხვის - N 310285; 25.03.2022; პროგრამის აკრედიტაციის ვადის გამო სტატუსის შეჩერების ბრძანება - N1540129; 02.12.2022; სტატუსის აღდგენის N734206; 21.06.2023

4. დოქტორანტ **ეთერ ხიმშიაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის თემა: „ზემოაჭარულისა და მესხური დიალექტის ურთიერთმიმართებებისთვის“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ლამზირა კობაიძე;

ბრძანებები: ჩარიცხვის - N 310285; 25.03.2022; პროგრამის აკრედიტაციის ვადის გამო სტატუსის შეჩერების ბრძანება - N1540129; 02.12.2022. სტატუსის აღდგენის - N 734206; 21.06.2023

5. დოქტორანტ **მელანო ზოსიძის** სადისერტაციო ნაშრომის თემა: „წმინდან ქალთა სახეები ქართულ ლიტერატურაში და მათი სახისმეტყველებითი ასპექტები“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი ნესტან სულავა.

ბრძანებები: ჩარიცხვის - N 1049539; 07.10.2021; პროგრამის აკრედიტაციის ვადის გამო სტატუსის შეჩერების ბრძანება - N1540129; 02.12.2022. სტატუსის აღდგენის - N 734206; 21.06.2023

სტატუსშეჩერებულები

1. დოქტორანტ **ეკატერინე ლომთაძის** სადისერტაციო ნაშრომის თემა: „სელენჯერის ქართული თარგმანის ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი“; სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი მაკა ბერიძე

ბრძანებები: ჩარიცხვა N2/65; 30.03.2017, შიდა მობილობა N 170986; 26.02.2021; სტატუსის შეჩერება - N234400; 7.03.2022

2. დოქტორანტ **რუსუდან ყაულაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის თემა: „ქართული ენის ჯავახური დიალექტი“; სამეცნიერო ხელმძღვანელი, მერაბ ბერიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბრძანებები: ჩარიცხვა - 15.09.2015 N2/99; შიდა მობილობა N 170986; 26.02.2021; სტატუსის შეჩერება - N158509; 17.02.2022

საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამა

ჩარიცხულია ხუთი დოქტორანტი. მათ შორის:

1. პროგრამაზე 2023 წელს ჩაირიცხა ერთი დოქტორანტი, **შორენა ახალაია**, სადისერტაციო თემა: „საზოგადოებრივი ურთიერთობები აფხაზეთში ახ. წ. აღ. მეორე საუკუნიდან 1918 წლამდე“; სამეცნიერო ხელმძღვანელი იაკობ ოფირი (პროფესორი ისრაელიდან).

ჩარიცხვის ბრძანების ნომერი N1248584, 27/09/2023

ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე ორმა დოქტორანტმა აღიდგინა სტატუსი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამიდან (ისტორიის მიმართულებით) და გარე მობილობით ჩაირიცხა ორი დოქტორანტი.

ამჟამად მათგან ერთია აქტიური სტატუსით.

2. დოქტორანტ **ირმა აბესაძის** სადისერტაციო ნაშრომის თემა: „ერთაშორისი ურთიერთობანი და დემოგრაფიული ვითარება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 1945-1965 წლებში“;

სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო პროფესორი უჩა ბლუაშვილი; ხელმძღვანელის გარდაცვალების გამო, 2025 წელს დაენიშნა ახალი ხელმძღვანელი - თინა იველაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბრძანებები: ჩარიცხვის - 2/93; 19.09.2014; სტატუსის შეწყვეტა (სხვა სასწავლებელში გადასვლის გამო) N225277; 04.03.2022. ჩაირიცხა მობილობით - N 1255070; 28.09.2023; შეუჩერდა 08.02.2024; N131719 სტატუსის აღდგენა 24.03.2025; N199094;

დასრულებული აქვს სასწავლო კომპონენტი და ემზადება დისერტაციის დასაცავად.

სტატუსშეჩერებულები:

1. დოქტორანტ მამუკა ჩუბინიძის სადისერტაციო ნაშრომის თემა: „აწყურის ხეობა (უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე); სამეცნიერო ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინა იველაშვილი.

ბრძანებები: ჩარიცხვის - N 2/150; 15.09.2016; სტატუსის შეწყვეტა (სხვა სასწავლებელში გადასვლის გამო) N933041; 02.10.2020. ჩაირიცხა მობილობით - N1255070; 28.09.2023; შეუჩერდა სტატუსი 13.02.2024; N152813

2. დოქტორანტ თამაზ ლაცაბიძის სადისერტაციო ნაშრომის თემა: „ჩხეიძეთა ფეოდალური სახლი XVII-XIX საუკუნეებში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი, ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ვასილ მოსიაშვილი.

ბრძანებები: ჩარიცხვის - N 2/150; 24.10.2017; სტატუსის შეჩერება პროგრამის აკრედიტაციის ვადის გამო - 3.25.2020; სტატუსის აღდგენის - N1264712; 29.09.2023; შეუჩერდა სტატუსი 29.01. 2025 N 79354

3. დოქტორანტ ამირან კურტანიის სადისერტაციო ნაშრომის თემა: „კონსტიტუციური აზროვნების ისტორიის ეტაპები საქართველოში“; ხელმძღვანელი ვაჟა შუბითიძე (ტექნიკური უნივერსიტეტი)

ბრძანებები: ჩარიცხვის ბრძანება - N 2/150; 24.10.2017; სტატუსის შეჩერება პროგრამის აკრედიტაციის ვადის გამო - 3.25.2020; სტატუსის აღდგენის - N1264712; 29.09.2023; შეუჩერდა სტატუსი 29.01.2025 N 79354

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECT S	პროგრამის სტატუსი შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი ³	პროგრამის მოქმედების ვადა
3.	ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ეკონომიკის დოქტორი კოდი 0311	60	აკრედიტებული - 19.12 2019 წ. №244	31/12/2028

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე 2015 წლიდან ხორციელდება „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; ამავე წლის გაზაფხულის სემესტრში პროგრამაზე ჩაირიცხა 3, შემოდგომის სემესტრშიც 3 დოქტორანტი, ხოლო 2 - ჩაირიცხა მობილობით. 2016 წელს შემოდგომის სემესტრში ჩაირიცხა 3 დოქტორანტი და 2017 წლის შემოდგომის სემესტრშიც 3 დოქტორანტი. 2021 წლის შემოდგომის სემესტრში ჩაირიცხა 5 დოქტორანტი. 2023 წლის შემოდგომის სემესტრში ჩაირიცხა 2 დოქტორანტი.

2025 წლის მდგომარეობით ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას ჰყავს 4 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი, 7 დოქტორანტი შეჩერებული სტატუსით, 5 დოქტორანტს აქვს სტატუსი შეწყვეტილი. მათ შორის ერთს გარდაცვალების გამო, ხოლო ოთხს - აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო. ერთი დოქტორანტი მობილობით გადავიდა აგრონომიის სადოქტორო პროგრამაზე. პროგრამას ჰყავს 4 კურსდამთავრებული.

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის მიერ დაცული დისერტაციის თემის სახელწოდება:

1. ქეთევან ფიფია - სადისერტაციო ნაშრომის თემა: „ქართული საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა“.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოჩა თუთბერიძე - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
შეფასება: ძალიან კარგი (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

ქეთევან ფიფია ჩაირიცხა 2015 წელს (ბრძ. # 2/99 16.09.2015), შემდეგ შეჩერებული ჰქონდა სტატუსი და 2020 წელს სტატუსის აღდგენის შემდეგ 2021 წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი. ნაშრომის გვიან დაცვის მიზეზად დასახელდა ოჯახური პირობები (არის 6 შვილის დედა), ასევე პანდემია.

2. მარიამ კენჭოშვილი - სადისერტაციო ნაშრომის თემა: „ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში“.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლავრენტი ჩიბურდანიძე - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
შეფასება: ძალიან კარგი (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

მარიამ კენჭოშვილი ჩაირიცხა 2016 წელს (ბრძ. # 2/147 15.09.2016), შეჩერებული ჰქონდა სტატუსი და 2021 წელს სტატუსის აღდგენის შემდეგ 2022 წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი. ნაშრომის გვიან დაცვის მიზეზად დასახელდა დასაქმება, პანდემია.

3. გიორგი ჯვარიძე - სადისერტაციო ნაშრომის თემა: „მოსახლეობის შემოსავლების განაწილების უთანაბრობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და მისი შემცირების გზები“.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: როინ თათეშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
შეფასება: „კარგი“ (cum laude).

გიორგი ჯვარიძე ჩაირიცხა 2016 წელს (ბრძ. #2/150 24.10.2017), შეჩერებული ჰქონდა სტატუსი და 2021 წელს სტატუსის აღდგენის შემდეგ 2022 წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი. ნაშრომის გვიან დაცვის მიზეზად დასახელდა დასაქმება, პანდემია.

4. ვახტანგ თაქთაქიძე - „მეფუტკრეობის, როგორც საექსპორტო დარგის განვითარების ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ცისკარა ზაერანდია - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
შეფასება „ფრიადი“ (summa cum laude)

ვახტანგ თაქთაქიძე ჩაირიცხა 2016 წელს (ბრძ. # 2/147 15.09.2016), შეჩერებული ჰქონდა სტატუსი და 2021 წელს სტატუსის აღდგენის შემდეგ 2024 წელს დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი. ნაშრომის გვიან დაცვის მიზეზად დასახელდა დასაქმება, ოჯახი.

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე ირიცხება აქტიური სტატუსის 4 დოქტორანტი:

1. ვანო ზაზაძე - ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი (ჩაირიცხვის ბრძ. #2/99 15.09.2015; სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძ. #2/315 25.12.2018; სტატუსის აღდგენის ბრძ. 1378204 16.10.2023)
თემა - აგრარული ნედლეულის გადამამუშავებელი ინდუსტრიის მნიშვნელობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ეკონომიკის აღმავლობის საქმეში,

სამეცნიერო ხელმძღვანელი ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ლავრენტი ჩიბურდანიძე (სადისერტაციო საბჭოს დადგ. #05/01 27.10.15 წ.)

2. ნინო ხაზალაშვილი - ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი (ჩარიცხვის ბრძ. #2/147 15.09.2016; სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძ. #2/315 25.12.2018; სტატუსის აღდგენის ბრძ. 1415108 20.10.2023)

თემა - ინსტიტუტები, ინსტიტუციონალური ცვლილებები და ეკონომიკური ზრდა საქართველოში, სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი გოჩა თუთბერიძე (სადისერტაციო საბჭოს დადგ. #09/01 22.11.16 წ.)

3. ნინო ტაბატაძე - ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი (ჩარიცხვის ბრძ. #1258551 28.09.2023)

თემა - მცირე და საშუალო საწარმოების როლი სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებში, სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნანა ჯღარკავა (სადისერტაციო საბჭოს დადგ.: # 28/01 20 ნოემბერი 2023 წ.)

4. ბესიკი ცქიფურიშვილი - ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი (ჩარიცხვის ბრძ. #1258551 28.09.2023)

თემა - მწვანე ეკონომიკის როლი ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში, სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ცისკარა ზარანდია (სადისერტაციო საბჭოს დადგ.: # 28/01 20 ნოემბერი 2023 წ.);

შეჩერებული სტატუსის 7 დოქტორანტი:

1. ბაჩანა ძაგანია - ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი (ჩარიცხვის ბრძ. #659366 01.07.2021; სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძ. #1122858, 13.09.2024)

თემა - „CAMELS-ის ცვლადების გავლენა კომერციული ბანკების მომგებიანობაზე საქართველოს საბანკო სისტემის მაგალითზე“,

სამეცნიერო ხელმძღვანელი ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი გ. თუთბერიძე (სადისერტაციო საბჭოს დადგ. #22/03 04.10.2021 წ.);

2. მაია ზედგინიძე - ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი (ჩარიცხვის ბრძ. #659366 01.07.2021; სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძ. #1122939, 13.09.2024)

თემა - COVID-19-ის პანდემიის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები: მსოფლიო პარალელები და საქართველო, სამეცნიერო ხელმძღვანელი ეკონომიკის დოქტორი ასოცირებული პროფესორი რ. ხაჩატურიანი (სადისერტაციო საბჭოს დადგ. #22/03 04.10.2021 წ.);

3. მერი სახამბერიძე ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი (ჩარიცხვის ბრძ. #659366 01.07.2021; სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძ. #1122939, 13.09.2024)

თემა - ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი - რეგიონული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების გავლენა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე,

სამეცნიერო ხელმძღვანელი ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი გ. თუთბერიძე (სადისერტაციო საბჭოს დადგ. #22/03 04.10.2021 წ.);

4. ნათია კიკნაძე - ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი (ჩარიცხვის ბრძ. #659366 01.07.2021; სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძ. #1374432, 24.10.2024)

თემა - ფისკალური დეცენტრალიზაციის როლი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში (სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე),

სამეცნიერო ხელმძღვანელი ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი რ. თათეშვილი (სადისერტაციო საბჭოს დადგ. #22/03 04.10.2021 წ.);

5. თამარ გელაშვილი - ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი (ჩარიცხვის ბრძ. #659366 01.07.2021; სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძ. #1122858, 13.09.2024)

თემა - ადამიანური კაპიტალისა და ეკონომიკური ზრდის კორელაციური კავშირი სამცხე-ჯავახეთის დასაქმების ბაზრის მაგალითზე,

სამეცნიერო ხელმძღვანელი ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი თ. გელაშვილი (სადისერტაციო საბჭოს დადგ. #22/03 04.10.2021 წ.);

6. ეკატერინე ვეფხვიაშვილი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი (ჩარიცხვის ბრძ. #2/150 24.10.2017; სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძ. № 442103, 8.06.2020)

თემა - სახელმწიფო შესყიდვების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში,

სამეცნიერო ხელმძღვანელი ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი რ. თათეშვილი (სადისერტაციო საბჭოს დადგ.. #13/01 21.11.17 წ)

7. ნანი გოგოლაძე ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი (ჩარიცხვის ბრძ. #2/150 24.10.2017; სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძ. № 442103, 8.06.2020)

თემა - მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკური პრობლემები სამცხე-ჯავახეთში,

სამეცნიერო ხელმძღვანელი ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი გ. ბუცხრიკიძე (სადისერტაციო საბჭოს დადგ.. #13/01 21.11.17 წ)

აქტიური სტატუსის დოქტორანტებიდან 2 დოქტორანტი არის სწავლების მეოთხე სემესტრში, ჩარიცხული არიან 2023 წელს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით დასრულებული აქვთ სასწავლო კომპონენტი. ორი დოქტორანტი არის სწავლების მეექვსე სემესტრში. მათგან არის ერთი 2015 წელს ჩარიცხული, ხოლო მეორე 2016 წელს ჩარიცხული. მათ სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდათ და მოხდა აღდგენა, ორივე დოქტორანტს დასრულებული აქვს სასწავლო კომპონენტი და მუშაობენ სადისერტაციო ნაშრომზე. ერთი სტატუსშეჩერებული დოქტორანტი ასრულებს მუშაობას სადისერტაციო ნაშრომზე, აღდგენის შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომს მიეცემა მსვლელობა. ზემოთაღნიშნულ დოქტორანტებთან მიმართებაში შეიძლება აღინიშნოს, რომ სტატუსის შეჩერების მიზეზად დასახელდა დასაქმება და ოჯახური პირობები.

**ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი**

#	პროგრამის დასახელება	სწავლები ს ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი შესაბამისი გადაწყვეტილები ს თარიღი და ნომერი ⁴	პროგრამის მოქმედების ვადა
4.	ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ვეტერინარიის დოქტორი / PhD of Veterinary Medicine), კოდი - 0841	50	აკრედიტებული 14/06/2024 *MES324000067244 9* MES 3 24 0000672449	31.12. 2025 წ.

5.	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	ფიზიკის დოქტორი/PHD in Physics კოდი 0533	50	აკრედიტებული 01/11/2022 MES 0 22 0001385347	7 წლით 2027 წლის 1 ივლისამდე
6.	Astronomy Joint Doctoral Programme of LEPL Samtskhe-Javakheti State University and LEPL E. Kharadze National Astrophysical Observatory	English	PHD in Physics code: 0533	50	01/11/2022 MES 0 22 0001385348	for 7 years 2027 წლის 1 ივლისამდე
7.	ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ინფორმატიკის დოქტორი კოდი 04	45	აკრედიტებული - 28.06. 2016 წ. №28	31/12/2025
8.	აგრონომიის სადოქტორო პროგრამა	ქართული	აგრონომიის დოქტორი კოდი 0811	50	აკრედიტებული - 28.06. 2016 წ. №29	31/12/2025

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

გივი ქიმერიძე - ბრძანება N2/190, 12/30/2014: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასტრონომიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

ბრძანება N217904, 2/23/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა შიდა მობილობით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ე.ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

თემა: შერჩეული აქტიურბირთვებიანი გალაქტიკების ფიზიკური მახასიარებლების შესწავლა“.

ხელმძღვანელი: რევაზ ჭილაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რევაზ ჭილაძე.

სამეცნიერო შრომების რაოდენობა - 103 ; ციტირება - 4822 ; ხირშის ინდექსი - 38

მანანა ვარდოსანიძე - ბრძანება N2/99, 9/16/2015: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამებზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

ბრძანება N217904, 2/23/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა შიდა მობილობით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

თემა: „მასიური ვარსკვლავების ფიზიკური მახასიათებლების შესწავლა“.

ხელმძღვანელი: ნინო ყოჩიაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

სამეცნიერო შრომების რაოდენობა - 26 ; ციტირება - 153 ; ხირშის ინდექსი - 7

რომან ივანიძე ბრძანება N2/190, 12/30/2014: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასტრონომიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

ბრძანება N217904, 2/23/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა შიდა მობილობით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

თემა: „შერჩეული გალაქტიკური ობიექტების ფიზიკური მახასიათებლების შესწავლა“

ხელმძღვანელი: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რევაზ ჭილაძე.

სამეცნიერო შრომების რაოდენობა - 19 ; ციტირება - 286 ; ხირშის ინდექსი - 6

სოფია ბერაძე - ბრძანება N2/09, 1/23/2018: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასტრონომიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

ბრძანება N217904, 2/23/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა შიდა მობილობით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

თემა: "ხანმოკლე ევოლუციის ეტაპებზე მყოფი მასიური ვარსკვლავები".

ხელმძღვანელი: ნინო ყოჩიაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

სამეცნიერო შრომების რაოდენობა - 47 ; ციტირება - 392 ; ხირშის ინდექსი - 7

სოფიო კურტანიძე -ბრძანება N2/09, 1/23/2018: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასტრონომიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

ბრძანება N217904, 2/23/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა შიდა მობილობით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

სადისერტაციო თემა: „შერჩეული აქტიური გალაქტიკების ფიზიკური თვისებების შესწავლა“.

სამეცნიერო ხელმძღვანელები: გერმანიის ჰაიდელბერგის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სტეფან ვაგნერი და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რევაზ ჭილაძე.

სამეცნიერო შრომების რაოდენობა - 83 ; ციტირება - 4389 ; ხირშის ინდექსი - 37

სიხარულიძე მაია - ბრძანება N2/59, 2/29/2016: 2015-2016 გაზაფხულის სემესტრში სტუდენტების მობილობით ჩარიცხვა;

ბრძანება N217904, 2/23/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა შიდა მობილობით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

„მზის პროტუბერანცებში ფიზიკური და დინამიკური მახასიათებლების გამოკვლევა“.

სამეცნიერო ხელმძღვანელები: საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომლები, ფიზიკა -მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორები: ვაჟა ყულიჯანიშვილი და ელდარ ხუციშვილი.

სამეცნიერო შრომების რაოდენობა - 10 ; ციტირება - 12 ; ხირშის ინდექსი - 4

გელაშვილი ანა - ბრძანება N2/147, 9/15/2016: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამებზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

ბრძანება N217904, 2/23/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა შიდა მობილობით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

„ მზის სპიკულების ფიზიკური თვისებების შესწავლა“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომელი ვაჟა ყულიჯანიშვილი.

სამეცნიერო შრომების რაოდენობა - 2 ; ციტირება - 2 ; ხირშის ინდექსი - 2

ჯანიაშვილი ედუარდ -ბრძანება N2/190, 12/30/2014: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასტრონომიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

ბრძანება N217904, 2/23/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა შიდა მობილობით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

„ ვოლფ-რაიეს ვარსკვლავების შემცველი მასიური მჭიდრო ორჯერადი სისტემები“.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტაილანდის ასტრონომიული ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. დავიდ მიკრტიჩიანი.

სამეცნიერო შრომების რაოდენობა - 22; ციტირება - 153 ; ხირშის ინდექსი - 7

მაია თათეშვილი - ბრძანება N2/147, 9/15/2016: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამებზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

ბრძანება N217904, 2/23/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა შიდა მობილობით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

„მზის დიფერენციალური ბრუნვის შესწავლა“, სამეცნიერო ხელმძღვანელი: საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომელი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ვაჟა ყულიჯანიშვილი, თანახელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ.რევაზ ჭილაძე.

სამეცნიერო შრომების რაოდენობა - 3 ; ციტირება - 2 ; ხირშის ინდექსი - 2

ვოვა აივაზიანი, - ბრძანება N2/09, 1/23/2018: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასტრონომიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ; ბრძანება N217904, 2/23/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა შიდა მობილობით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ; სადოქტორო თემა: „დედამიწასთან მოახლოებადი საშიში ასტეროიდების შესწავლა“ თემის ხელმძღვანელი: რაგული ინასარიძე, პროფესორი

შენიშვნა: ყველა დოქტორანტს ჩაბარებული აქვს ასტრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტი, ყველა მათგანი ელოდება ერთზე მეტ იმპაქტპაქტორიან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში 2 სტატიის გამოქვეყნებას პირველი ავტორობით.

ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ამოქმედდა 2023 წლის გაზაფხულის სემესტრიდან. პროგრამაზე ჩარიცხულია 3 დოქტორანტი:

1. ბრძანება N438562, 4/21/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვასილ ბასილადის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ;

დოქტორანტ ვასილ ბასილადის სადისერტაციო ნაშრომის თემა: „პარამფისტომიდოზების ეპიდემიოლოგიისა და დაკვლის პროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზის საკითხები საქართველოში“.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დემნა ხელაია, ვეტერინარიის დოქტორი, პროფესორი

დოქტორანტ ვასილ ბასილადეს ჩაბარებული აქვს კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები. შესრულებული აქვს სადოქტორო სემინარი და წარმატებით გაირა პროფესორის ასისტენტობით გათვალისწინებული მოთხოვნები. დოქტორანტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა არის აქტიურ ფაზაში და ხორციელდება სამოქმედო გეგმის მიხედვით. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო მღარეიტინგულ ჟურნალებში, მათ შორის ინფარქტ ფაქტორიანში. ვეტერინარიის მიმართულებით მონაწილეობს სხვადასხვა სახის საგრანტო პროექტებში

2. ბრძანება N360044, 3/30/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში **გიორგი მაღლაკელიძის** ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ;

დოქტორანტ გიორგი მაღლაკელიძის სადისერტაციო ნაშრომის თემა: „ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებული ფურების რძის გამოკვლევა რგოლური რეაქციით“.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით გოდერძიშვილი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

კონსულტანტი: თენგიზ ყურაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დოქტორანტ გიორგი მაღლაკელიძეს ჩაბარებული აქვს კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები. შესრულებული აქვს სადოქტორო სემინარი და წარმატებით გაირა პროფესორის ასისტენტობით გათვალისწინებული მოთხოვნები. დოქტორანტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა არის აქტიურ ფაზაში და ხორციელდება სამოქმედო გეგმის მიხედვით. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

3. ბრძანება N212526, 2/22/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტ **გიორგი ბუცხრიკიძის** ჩარიცხვის შესახებ;

დოქტორანტ გიორგი ბუცხრიკიძის სადისერტაციო ნაშრომის თემა: „ფურეზში მშობიარობის შემდგომი ენდომეტრიტის გავლენა ფურების რეპროდუქტიულობაზე“.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ყურაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დოქტორანტ გიორგი ბუცხრიკიძეს ჩაბარებული აქვს კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები. შესრულებული აქვს სადოქტორო სემინარი და წარმატებით გაირა პროფესორის ასისტენტობით გათვალისწინებული მოთხოვნები. დოქტორანტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა არის აქტიურ ფაზაში და ხორციელდება სამოქმედო გეგმის მიხედვით. აქტიურად მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, სადაც გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, ასევე დისერტაციის თემატიკასთან დაკავშირებით შესრულებული აქვს ორი მეთოდური მითითება.

2024 წელს ჩაირიცხა 3 დოქტორანტი

4. ბრძანება N172539, 16/02/2024: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტ **გაბრიელ გლუნჩაძის** ჩარიცხვის შესახებ;

დოქტორანტ **გაბრიელ გლუნჩაძის** სადისერტაციო ნაშრომის თემა: „*Micobacterium Bovis* გავრცელება საქართველოში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან მაკარაძე, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ლევან ციციშვილი, ბიოლოგიის დოქტორი, პროფესორი

დოქტორანტ გაბრიელ გლუნჩაძეს ჩაბარებული აქვს კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსი; წარადგინა სადოქტორო სემინარის პრეზენტაცია და კომისიურად მოხდა მისი შეფასება. დოქტორანტი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო კონფერენციებში, გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში და კონფერენციის მასალებში. წარმატებით მონაწილეობს, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტებში, როგორ ძირითადი შემსრულებელი.

5. ბრძანება N172539, 16/02/2024: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტ **იოსებ მენთეშაშვილის** ჩარიცხვის შესახებ;

დოქტორანტ იოსებ მენთეშაშვილის სადისერტაციო ნაშრომის თემა: „კენტგლიქიანი ცხოველების ბრუცელოზის გავრცელება საქართველოში და მისი ეპიზოოტიური და ეპიდემიური შფასება“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ყურაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

6. ბრძანება N172539, 16/02/2024: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტ **მიხელი სოხაძის** ჩარიცხვის შესახებ;

დოქტორანტ მიხელი სოხაძის სადისერტაციო ნაშრომის თემა: „მინაური ბინადარი ხორცისმჭამელი ცხოველების (მალი, კატა) ბრუცელოზის გავრცელება საქართველოში და მისი ეპიდემიური შეფასება“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ყურაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

2024 წელს მობილობით გადმოვიდა 1 დოქტორანტი

7. ბრძანება N1381706 28/10/2024 სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტ გვანცა კიკაჩიშვილის მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ;

ბრძანება N1462712 13/11/2024: შეიჩერა სტუდენტის სტატუსი.

ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხორცილდება 2016-2017 სასწავლო წლიდან. ამავე სასწავლო წელს გამოცხადებული იყო ორი ადგილი და ჩაირიცხა 2 დოქტორანტი.

ინფორმატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხორცილდება 2016-2017 სასწავლო წლიდან. ამავე სასწავლო წელს გამოცხადებული იყო ორი ადგილი და ჩაირიცხა 2 დოქტორანტი.

ვედიაკოვი დარეჯან - ბრძანება N2/147, 9/15/2016: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

სადისერტაციო ნაშრომის თემა: „ელექტრონული წრედების პარამეტრების კორექტულობის შემოწმების ალგორითმები“.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ვასილ ტაბატაძე.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, ამჟამად სტატუსი აღიდგინა და აგრძელებს მუშაობას დისერტაციაზე.

ტაბეშაძე ჯულიეტა - ბრძანება N2/147, 9/15/2016: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

სამეცნიერო ნაშრომის თემა: „ციფრული სიგნალის ეკვალიზაციის ალგორითმი“.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ვასილ ტაბატაძე.

ნაშრომი პრაქტიკულად დასრულებულია, აკლია საერთაშორისო კონფერენცია (ინტერნაციონალიზაცია) და მოემზადება დაცვის პროცედურების დასაწყებად.

მიქელაძე სერგო - ბრძანება N2/150, 10/24/2017: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

სამეცნიერო ნაშრომის თემა: „კომპიუტერულ ქსელებში სისტემის რხევების შემცირების მეთოდისა და ალგორითმების შემუშავება“.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მოწვეული სპეციალისტი რომან სამხარაძე

სადოქტორო თემაზე მუშაობას განვაგრძობთ აქტიურად, შევითანეთ გარკვეული კორექტირებები. ამავდროულად ველოდებით საერთაშორისო კონფერენციას, რომ მივიღოთ მონაწილეობა. რაც შეეხება

კვლევით ნაწილს: cisco packet tracer_პროგრამის საშუალებით ჩატარებული კვლევებიდან, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტს ვიყენებთ პრაქტიკაში, რომელმაც მაღალი ეფექტურობა აჩვენა.

გამოქვეყნებული სტატიები:

1.1 კომპიუტერულ ქსელებში სისტემის რხევების შემცირების მეთოდოლოგია

1.2 <https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-1-40-45>

1.3 <https://doi.org/10.36073/1512-0996-2020-1-46-51>

ნაშრომი დასრულებულია, ელოდება საერთაშორისო კონფერენციას (ინტერნაციონალიზაციას) და მოემზადება დაცვის პროცედურების დასაწყებად.

ქურციკიძე მთვარისა - ბრძანება N2/150, 10/24/2017: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

სადისერტაციო ნაშრომის თემა: „კომპიუტერული მოდელირებით მობილური ტელეფონის ანტენის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ველის ზეგავლენის შესწავლა ადამიანზე სხვადასხვა სცენარებში“. დოქტორანტს წინასწარი დაცვა დასრულებული აქვს, ელოდება რეცენზენტების შეფასებებს და დისერტაციის სავარაუდოდ დაცვის თარიღი იქნება ივნისის თვე.

მერებაშვილი მაია - ბრძანება N87787, 2/10/2021: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

სამეცნიერო ნაშრომის თემა: „მონაცემთა საცავებში მონაცემთა ვიტრინების არქიტექტურის მოდელი“.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მოწვეული სპეციალისტი მანანა ხაჩიძე.

მიჰყვება ინდივიდუალური სადოქტორო სამუშაო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას. (სტატუსი აქვს შეჩერებული ოჯახური პირობების გამო-წყავს მცირეწლოვანი შვილები)

ირაკლი ხაჩიძე - ბრძანება N1241050, 10/6/2022: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტ ირაკლი ხაჩიძის ჩარიცხვის შესახებ;

სამეცნიერო ნაშრომის თემა: „ცოდნის მოდელირება გრაფული მანქანური სწავლების გამოყენებით / Knowledge modeling using Graph Machine Learning“,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მოწვეული სპეციალისტი გულნარა ჯანელიძე, თანახელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ლელა წითაშვილი

ირაკლი ხაჩიძე მეექვსე სემესტრის სტუდენტია, დისერტაციის დიდი ნაწილი მზად აქვს, მზად აქვს სტატიები, საერთაშორისო კონფერენცია (ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნა) და სემესტრის დასრულებისთანავე დაიწყებს დაცვის პროცედურებს.

დათა დათაშვილი ბრძანება N1441352, 20/10/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტ დათა დათაშვილის ჩარიცხვის შესახებ;

სამეცნიერო ნაშრომის თემა: „ქსელის უსაფრთხოება და თანამედროვე კომპიუტერულ სერვისებში გამოყენება“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლელა წითაშვილი

დათა დათაშვილი მეოთხე სემესტრის სტუდენტია, დისერტაციის ნაწილი მზად აქვს, თუმცა ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამის შეწყვეტასთან დაკავშირებით 2025 წლის 31 დეკემბერს, აპირებს ისარგებლოს გარე მობილობით, სავარაუდოდ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის მიერ დაცული დისერტაციის თემის სახელწოდება:

1. ნინო ბერიძე - „მონაცემთა ანალიზის თანამედროვე ტექნოლოგიები სასწავლო პროცესის მართვაში.“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში ლელა წითაშვილი და საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი გულიკო ჯანელიძე.

შეფასება: ძალიან კარგი (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღმატება;

აგრონომიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხორცილდება 2017 წლიდან.

2016-17 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადებული იყო სამი ადგილი. აგრონომიის სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხა 2 დოქტორანტი.

2017-18 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადებული იყო სამი ადგილი. აგრონომიის სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხა 2 დოქტორანტი.

თათეშვილი ზექა - ბრძანება N2/150, 10/24/2017: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამებზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

ბრძანება N2/73, 6/18/2019: აკადემიური შვებულებით სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ;

მურადაშვილი ელისო - ბრძანება N2/26, 2/15/2017: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრონომიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

სადისერტაციო თემა: „პომიდვრის სამხრეთ ამერიკული მენადმე ჩრჩილის (Tuta absoluta M.) გავრცელება

სამცხე -ჯავახეთსა და შიდა ქართლის რეგიონში და ბრძოლის უსაფრთხო მეთოდების გამოყენება“.

ხელმძღვანელი: ბიოლოგიის დოქტორი მედეა ბურჯანაძე.

დოქტორანტს გავლილი აქვს წინასწარი დაცვა, ემზადება დაცვისთვის, სავარაუდოდ ივნისის თვეში.

ელმადდინ მამედოვი ბრძანება N1441352, 20/10/2023: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აგრონომიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტ ელმადდინ მამედოვის ჩარიცხვის შესახებ;

სამეცნიერო ნაშრომის თემა: „გარემოსთან ადაპტირებული აგროტექნოლოგიები კარტოფილის წარმოებაში ბიოპრეპარატების გამოყენებით ახალციხის მუნიციპალიტეტის პირობებში“

ხელმძღვანელი ბიოლოგიის დოქტორი ნონა მიქაია

ელმადდინ მამედოვი მეოთხე სემესტრის სტუდენტია, დისერტაციის ნაწილი მზად აქვს, თუმცა აგრონომიის სადოქტორო პროგრამის შეწყვეტასთან დაკავშირებით 2025 წლის 31 დეკემბერს, აპირებს ისარგებლოს გარე მობილობით.

პროგრამას ჰყავს სამი კურსდამთავრებული:

თამარ ნარიშკიშვილი - ბრძანება N2/150, 10/24/2017: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამებზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

სადისერტაციო ნაშრომის თემა: „საშემოდგომო ხორბლის თესვის ოპტიმალური ვადების დადგენა სამხრეთ საქართველოში“.

ბრძანება N30, 7/12/2023: დოქტორანტისათვის აგრონომიის დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭება;

ლობჯანიძე მზია - ბრძანება N2/26, 2/15/2017: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრონომიის სადოქტორო პროგრამაზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

სადისერტაციო თემა: „სამკურნალო, არომატული, საღებავი და საწებელი მცენარე თავშავას *Oreganum vulgare* ბიომრავალფეროვნება, ბიოლოგიური თავისებურებანი, ქიმიური შემადგენლობა და გამოყენება“.

ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ კაჭარავა.

25.11.2024 წლის გადაწყვეტილება # 2/9, დოქტორანტისათვის აგრონომიის დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭება;

ირინა ხელისუფალი - ბრძანება N87787, 2/10/2021: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამებზე კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ;

სადისერტაციო თემა: „ტყის, ბოსტან-ბაღის და ხეხილოვანი კულტურების ზოგიერთი მავნე მწერების ენტომოპათოგენური ნემატოდები და მათი გამოყენება მავნე მწერების ბიოკონტროლისათვის“

სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი ნონა მიქაია და მოწვეული პროფესორი, აკადემიკოსი ავთანდილ კორახაშვილი.

19.07.2024 წლის გადაწყვეტილება # 1/6, დოქტორანტისათვის აგრონომიის დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭება;


სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამებზე სწავლის/პროგრამის დასრულების შემდეგ პერიოდში დოქტორანტების გარკვეული ნაწილი დასაქმებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ჩართულია პედაგოგიურ საქმიანობაში (სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობები). სადოქტორო პროგრამის შესაბამისი სწავლის სფეროების მიმართულებით ახორციელებენ სწავლების პროცესს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებზე სემინარებისა და პრაქტიკულ/ლაბორატორიული მეცადინეობების სახით. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, გარკვეულმა კურსდამთავრებულებმა ეტაპობრივად მიიღეს მონაწილეობა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ თითოეულმა მათგანმა უნივერსიტეტთან გააფორმა აფილირების ხელშეკრულება. კურსდამთავრებულების ნაწილი უნივერსიტეტში პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებს მოწვეული სპეციალისტის სტატუსით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტი თვითონ არის სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულების დამსაქმებელი და ზრუნავს აკადემიურ/სამეცნიერო სივრცეში ახალგაზრდა თაობის ჩართულობაზე, რაც ცალსახად დაკავშირებულია უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტებისთვის უწყვეტი განათლების მიწოდებასთან.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2024-2025 სასწავლო წლის კურსდამთავრებულების კვლევა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ **2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის** სემესტრის დასაწყისში ჩატარდა კურსდამთავრებულების კვლევა, რომლის ძირითადი მიზანი კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების იდენტიფიცირება სპეციალობით ან არასპეციალობით; საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობით, პროგრამის სწავლის შედეგებით კმაყოფილების გამოვლენა იყო.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების 24 კურსდამთავრებულმა. კერძოდ, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის, ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის, სამართლის საბაკალავრო პროგრამის, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა.



გამოკითხვაში მონაწილე 24 კურსდამთავრებულიდან უმრავლესობა დასაქმებულია, ნაწილი სხვა სპეციალობით, მხოლოდ სამი კურსდამთავრებულია დაუსაქმებელი. ქვემოთ ჩამოთვლილია დამსაქმებელი ორგანიზაციების არასრული ჩამონათვალი, სადაც დასაქმებული იყვნენ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები:

შპს ეს ელ კომპანი +

HMG-ჰოტელ მენეჯმენტ გრუპი

არ ვარ დასაქმებული

შპს მარსი

ახალციხის იუსტიციის სახლი

სკოლა ალბიონი

სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა სამსარის

საჯარო სკოლა

ა(ა)იპ „ახალციხის ციხე“

შპს ლუქსნანი

Vention

ნაქალაქევის საჯარო სკოლა

სუპერმარკეტი, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

სს საქართველოს ბანკი

ლიბერთი ბანკი

სს კრედიტ ბანკი

შ.პ.ს მაგთიკომი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბურნაშეთის საჯარო სკოლა

ელიტ ელექტრონიკსი

შპს ონ ვეი

ამჟამად არ ვმუშაობ

Crystal Group

გლობალ ერთი

თავდაცვის ძალები

დაუსაქმებელი

კურსდამთავრებულების მიერ დაკავებული თანამდებობების ჩამონათვალის არასრული სია:

მოლარე-კონსულტანტი

მენეჯერი

არ ვმუშაობ

მოლარე

სპეციალისტი

მასწავლებელი

მასწავლებელი

ტურიზმისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი
სპეციალისტი

ადმინისტრატორი

Software Engineer

მასწავლებელი

სუპერმარკეტის მენეჯერი, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის

სტაჟიორი

მოლარე-ოპერატორი

განვადების მენეჯერი

უნივერსალური მოლარე

ინჟინერ-ტექნიკოსთა ჯგუფის ხელმძღვანელი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უფროსი მასწავლებელი

მოლარე ოპერატორი

მენეჯერი

არ ვმუშაობ

სტუმრის მიღება -განთავსების სპეციალისტი

ტექნიკოსი

მძღოლი

დაუსაქმებელი

კურსდამთავრებულების კომენტარები გადმოტანილია უცვლელად:

- არა
- თითქმის ყველა საჯარო სამსახური ითხოვს მინიმუმ 1წლიან სამუშაო გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს, საჯარო სექტორში დასაქმებისას.
- სამსახურის ძებნისას მთავარია სწორად დავახარისხოთ მიზნები, მე ამ პრინციპით არ გამჭირვებია სამსახურის ძებნა
- სამუშაო ამ ჟამად არ მაქვს ვფიქრობ კი გამიჭირდა სამუშაოს მოძებნა
- ჩემი სპეციალობით არ დავსაქმებულვარ, თუმცა მქონდა მცდელობა საჯარო სამსახურში დავსაქმებულიყავი და ყველა სივრზე პასუხი უარყოფითი მომივიდა, ეს ძირითადად ეხებოდა არასამუშაო გამოცდილებას და ცოდნის ნაკლებობას . თუმცა შემდგომში იმ ვაკანტურ ადგილას ისეთი კადრი დაუნიშნიათ ვისაც სამუშაო გამოცდილება არ ჰქონდა. ალბათ როგორც ქართული მენტალობიდან გამოდის სადმე ნორმალურ ადგილას თუ გინდა დასაქმდე ვინმე "ნაცნობი" უნდა გყავდეს.
- მოითხოვებოდა სამუშაო გამოცდილების ქონა
- დასაქმებული ვიყავი პროგრამის გასვლამდე
- აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტად ჩარიცხვისას უკვე ვმუშაობდი მოცემულ პოზიციაზე.
- ძალიან ადვილად მოვძებნე სამუშაო
- მეტნაკლებად იყო სირთულე
- რათქმაუნდა წავაწყდი ბევრ სირთულეს, რადგან უნივერსიტეტთან შეთანხმებულად ყოფილიყო სამსახური და თან სწავლა შემძლებოდა.

- არანაირი სირთულე არ შემხვედრია
- სირთულე იყო სამუშაო ადგილების ნაკლებობა.
- რთული იყო სამსახურის პოვნა
- ჯერ არ ვმუშაობ მაგრამ სამომავლოდ ვგეგმავ
- არ შემხვედრია არანაირი სირთულე
- არ დავსაქმებულვარ

რეაგირება:

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

გთხოვთ მიუთითოთ თქვენი სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, რომელთა საპასუხოდაც განახორციელეთ შესაბამისი ქმედება შედეგების გაუმჯობესების მიზნით

- კადრების მოზიდვის პრობლემა პროექტის მენეჯერის მიმართულებით
- სასურველია პრაქტიკული ცოდნის და უნარების, სხარტი აზროვნების და გუნდური მუშაობის უნარის კურსდამთავრებული

აღწერეთ საყურადღებო საკითხების საპასუხოდ, შედეგების გასაუმჯობესებლად ჩატარებული სამუშაოები

- სასწავლო კურსი პროექტის მართვა ისწავლება როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამაზე
- პროგრამებში გაზრდილია პრაქტიკული მასალის მოცულობა და საათები.

მიუთითეთ სტრუქტურული ერთეული/პირი/კოლეგიური ორგანო, ვისთანაც/სადაც განიხილეთ აღნიშნული გარემოება და მიიღეთ აქტივობ(ებ)ის განხორციელების გადაწყვეტილება

გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხების შესახებ ინფორმაცია გადაეგზავნა ელ ფოსტაზე პროგრამის ხელმძღვანელებს. ხოლო აღნიშნული გარემოება განიხილება ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის საბჭოზე (სემესტრის დაწყებისთანავე პირველ საბჭოზე)

გთხოვთ მიუთითოთ თქვენი სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, რომელთა საპასუხოდაც დაგეგმეთ შესაბამისი ქმედება შედეგების გაუმჯობესების მიზნით გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხები /გასაუმჯობესებელი ასპექტები

1. გამოვლინდა კადრების შერჩევისას წარმოშობილი პრობლემები:

კვალიფიციური კადრების ნაკლებობა - 57.1%;

თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის დაბალი დონე; - 42,9%.

2. მონაწილეობის მიღება პროგრამის შემუშავებაში და შესაბამისი რეკომენდაციების ასახვა

3. დასაქმების ბაზარზე ციფრული მარკეტინგის სპეციალისტების ნაკლებობა

აღწერეთ საყურადღებო საკითხების საპასუხოდ, შედეგების გასაუმჯობესებლად ჩასატარებელი სამუშაოები

1. აკადემიური/მოწვეულ პერსონალთან საყურადღებო საკითხების განხილვის შემდეგ, პერიოდულად გადამოწმდეს სასწავლო მასალა, რათა შესაბამისი შედეგებზე გავიდნენ კურსდამთავრებულები. რაც შეეხება ტექნოლოგიების ცოდნის დაბალ დონეს, მიეთითოს შესაბამისი პერსონალს ამ მიმართულებით გაააქტიუროს მუშაობა.

2. მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლები ჩართული არიან პროგრამების შემუშავებაში და უმეტესწილად მათი მოსაზრებები გათვალისწინებულია, კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საწროა უფრო მეტი კომუნიკაცია. ამიტომ იგეგმება საზაფხული სემესტრში დამსაქმებლებთან შეხვედრა შედგეს ორჯერ, სადაც შეხვედრას დაესწრებიან როგორც აკადემიური/მოწვეული პერსონალი, ისე სტუდენტები.

3. მართალია გაძლიერებულია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში მარკეტინგის მიმართულება, მაგრამ განიხილება საკითხი ციფრული მარკეტინგის, როგორც სასწავლო კურსის სწავლების შესახებ

მიუთითეთ სტრუქტურული ერთეული/პირი, ვისთანაც მოგიწევთ თანამშრომლობა დაგეგმილი აქტივობ(ებ)ის განხორციელების მიზნით

აკადემიური/ მოწვეული პერსონალი;

პროგრამის ხელმძღვანელები;

დამსაქმებლები

მიუთითეთ სტრუქტურული ერთეული/პირი/კოლეგიური ორგანო, ვისთანაც/სადაც განიხილეთ აღნიშნული გარემოება და მიიღეთ აქტივობ(ებ)ის განხორციელების გადაწყვეტილება

გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხების შესახებ ინფორმაცია გადაეგზავნა ელ ფოსტაზე პროგრამის ხელმძღვანელებს. ხოლო აღნიშნული გარემოება განიხილება ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის საბჭოზე (სემესტრის დაწყებისთანავე პირველ საბჭოზე)

რეაგირება:

იურიდიული ფაკულტეტი

გთხოვთ მიუთითოთ თქვენი სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, რომელთა საპასუხოდაც განახორციელეთ შესაბამისი ქმედება შედეგების გაუმჯობესების მიზნით

გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხები /გასაუმჯობესებელი ასპექტები სასწავლო პროცესში უფრო მეტი პრაქტიკული სამუშაოს კომპონენტის დამატება.

აღწერეთ საყურადღებო საკითხების საპასუხოდ, შედეგების გასაუმჯობესებლად ჩატარებული სამუშაოები

- მიუხედავად იმისა, რომ სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე, სადაც არ არის პროფესიული პრაქტიკა, პრაქტიკული სამუშაოების კომპონენტი გათვალისწინებულია არაერთი სასწავლო კურსით, რომელიც აგებულია პრაქტიკულ სამუშაოზე. ასევე პედაგოგებს ეთხოვათ საგნს სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ მიერ მომხდარიყო თავიანთ საგნებში, გამოეყენებინათ პროექტიკული ისეთი კომპონენტი, როგორიცაა კაზუსის ამოხსნა, დოკუმენტების შევსება.

- რაც შეეხება საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამას, პროგრამით გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა, რომელიც მოიცავდა 10 კრედიტს, რომელიც აკრესიტაციის ექსპერტების რჩევით გაიზარდა 12 კრედიტამდე, ასევე პროგრამა მოიცავს სასწავლო დისციპლინებს, რომელიც მოიცავს გარკვეული პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

მიუთითეთ მტკიცებულებები ჩატარებული სამუშაოების შესახებ

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები.

საჯარო მმართველობის პროგრამის განახლებული პროგრამა.

მიუთითეთ სტრუქტურული ერთეული/პირი, ვისთანაც მოგიწიათ თანამშრომლობა აღნიშნული აქტივობ(ებ)ის განხორციელების მიზნით

ფაკულტეტის დეკანი,

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,

პროგრამის ხელმძღვანელები,

აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

მიუთითეთ სტრუქტურული ერთეული/პირი/კოლეგიური ორგანო, ვისთანაც/სადაც განიხილეთ აღნიშნული გარემოება და მიიღეთ აქტივობ(ებ)ის განხორციელების გადაწყვეტილება

ფაკულტეტის საბჭო

გთხოვთ მიუთითოთ თქვენი სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, რომელთა საპასუხოდაც დაგეგმეთ შესაბამისი ქმედება შედეგების გაუმჯობესების მიზნით გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხები /გასაუმჯობესებელი ასპექტები

კითხვაზე - რომელ წყაროებზე დაყრდნობით, რა გზებითა და მეთოდებით მოიძიეთ სამსახური პასუხები გადანაწილდა - ინტერნეტი, გაზეთი, ტელევიზია, პირადი კავშირები და ა.შ.

აღწერეთ საყურადღებო საკითხების საპასუხოდ, შედეგების გასაუმჯობესებლად ჩასატარებელი სამუშაოები

ხსენებულ საკითხთან დაგავშირებით გასული სასწავლო წლის განმავლობაში არაერთი საჯარო დაწესებულების წარმომადგენლები იყვნენ და შეხვდნენ სტუდენტებს სტაჟირებასთან და ვაკანსიებთან დაკავშირებით. ალბათ შესაძლებლობებიდან გამომდინარე საჭიროა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მხრიდან მოხდეს კიდევ უფრო მეტი აკტიურობის გამოჩენა ამ საკითხთან დაკავშირებით. საჯარო დაწესებულების გარდა იქნებ მოწვეულნი იქნენ კერძო სამართლის იურიდიული პირებიც.

მიუთითეთ სტრუქტურული ერთეული/პირი, ვისთანაც მოგიწევთ თანამშრომლობა დაგეგმილი აქტივობ(ებ)ის განხორციელების მიზნით

ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები,

მიუთითეთ სტრუქტურული ერთეული/პირი/კოლეგიური ორგანო, ვისთანაც/სადაც განიხილეთ აღნიშნული გარემოება და მიიღეთ აქტივობ(ებ)ის განხორციელების გადაწყვეტილება

ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელები.

რეაგირება

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გთხოვთ მიუთითოთ თქვენი სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, რომელთა საპასუხოდაც განახორციელეთ შესაბამისი ქმედება შედეგების გაუმჯობესების მიზნით

გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხები /გასაუმჯობესებელი ასპექტები

კითხვაზე - საკმარისია თუ არა თეორიული/სალექციო და პრაქტიკული კომპონენტებით მიღებული ცოდნა,

კურსდამთავრებულთა 54,2% პასუხობს, რომ სრულიად საკმარისია, ხოლო 45,8% არ არის საკმარისი.

კითხვაზე - რამდენად პასუხობს თქვენს მიერ მიღებული თეორიული ცოდნა იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია სამსახურეობრივი მოვალეობების ეფექტურად შესრულებისთვის?

რესპოდენტთა 29,2% აფიქსირებს მოსაზრებას, რომ საკმარისად პასუხობს, 41,7% - მეტწილად პასუხობს, 25% ნაწილობრივ ეთანხმება, არ ეთანხმება 4,9% - არ პასუხობს.

აღწერეთ საყურადღებო საკითხების საპასუხოდ, შედეგების გასაუმჯობესებლად ჩატარებული სამუშაოები

გადაიხედოს პროგრამა, სილაბუსები.

დარგში მიმდინარე სიახლეების პარალელურად დამუშავდეს ახალი საკითხები სილაბუსებში

შესატანად, შესაბამისად დაემატოს ახალი ლიტერატურა.

პროგრამების უმეტესობას ეხება კლასტერული აკრედიტაცია 31.12.2025 წლისათვის, ამ პერიოდისთვის შესაძლებელი იქნება მოდიფიცირებული სილაბუსების და პროგრამების გამზადება.

მიუთითეთ მტკიცებულებები ჩატარებული სამუშაოების შესახებ

.შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელებთან.

მიუთითეთ სტრუქტურული ერთეული/პირი, ვისთანაც მოგიწიათ თანამშრომლობა აღნიშნული აქტივობ(ებ)ის განხორციელების მიზნით

1. პროგრამის ხელმძღვანელები:

ლევან მაკარაძე, პროფესორი

რევაზ ჭილაძე, პროფესორი

ლერი ნოზაძე, პროფესორი

რეზო ზედგინიძე, ასოცირებული პროფესორი

ზაირა ტყეშელაშვილი, ასოცირებული პროფესორი

მიუთითეთ სტრუქტურული ერთეული/პირი/კოლეგიური ორგანო, ვისთანაც/სადაც განიხილეთ აღნიშნული გარემოება და მიიღეთ აქტივობ(ებ)ის განხორციელების გადაწყვეტილება

უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი ნინო მილაშვილი

ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლევან მაკარაძე

გთხოვთ მიუთითოთ თქვენი სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში გამოვლენილი საყურადღებო საკითხები, რომელთა საპასუხოდაც დაგეგმეთ შესაბამისი ქმედება შედეგების გაუმჯობესების მიზნით გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საყურადღებო საკითხები /გასაუმჯობესებელი ასპექტები

1. კითხვაზე - რამდენად პასუხობს თქვენს მიერ მიღებული თეორიული ცოდნა იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია სამსახურეობრივი მოვალეობების ეფექტურად შესრულებისთვის?

რესპოდენტთა 29,2% აფიქსირებს მოსაზრებას, რომ სავსებით პასუხობს, 41,7% - მეტწილად პასუხობს, 25% ნაწილობრივ ეთანხმება, არ ეთანხმება 4,9% - არ პასუხობს.

2. რას შეცვლიდით საგანმანათლებლო პროგრამაში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების უკეთესად მიღწევისთვის (გთხოვთ, წერილობით დააფიქსიროთ თქვენი მოსაზრება)?

- ვისურვებდი რომ ფაკულტეტის შესაბამის დაწესებულებებში ხდებოდეს სტუდენტების პრაქტიკულ სტაჟირებაზე გადამზადება.

- დავამატებდი პრაქტიკის კურსებს

- უკეთესი იქნებოდა გამკაცრებული სწავლა!

- ყველაფერი კარგად არის დაორგანიზებული სწავლების პერიოდში, მაგრამ უფრო მეტი პრაქტიკა კარგი იქნებოდა, რადგან დამსაქმებელი ძირითადად გამოცდილ კადრს ეძებს

- პრაქტიკა .

აღწერეთ საყურადღებო საკითხების საპასუხოდ, შედეგების გასაუმჯობესებლად ჩასატარებელი სამუშაოები

1. ყურადსაღებია შემდეგი პასუხები: 25% ნაწილობრივ ეთანხმება, არ ეთანხმება 4,9% - არ პასუხობს.

პროგრამების უმეტესობას ეხება კლასტერული აკრედიტაცია 31.12.2025 წლისათვის, ამ პერიოდისთვის შესაძლებელი იქნება მოდიფიცირებული სილაბუსების და პროგრამების გამზადება.

ამ პროცესში აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ერთად აქტიურად უნდა ჩავრთოთ:

- სტუდენტები;

- კურსდამთავრებულები;

- დამსაქმებლები.

და მათი საინტერესო და რაციონალური რჩევები და რეკომენდაციები სემლებისდაგვარად იქნას გათვალისწინებული პროგრამებსა და სილაბუსებში.

2. კურსდამთავრებულების უმრავლესობა აღნიშნავს პრაქტიკის კომპონენტის-პრაქტიკის როლის მნიშვნელობას, ამდენად პროგრამის ხელმძღვანელებისთვის ეს უნდა იყოს ერთგვარი ინბდიკატორი, თუ რა მიმართულებით უნდა გამდიდრდეს პროგრამა ეს იქნება პრაქტიკა, ჩაშენებული პრაქტიკა თუ პრაქტიკის ობიექტებთან ინტენსიური ვიზიტები.

მიუთითეთ სტრუქტურული ერთეული/პირი, ვისთანაც მოგიწევთ თანამშრომლობა დაგეგმილი აქტივობ(ებ)ის განხორციელების მიზნით

1. პროგრამის ხელმძღვანელები:

ლევან მაკარაძე, პროფესორი

რევაზ ჭილაძე, პროფესორი

ლერი ნოზაძე, პროფესორი

რეზო ზედგინიძე, ასოცირებული პროფესორი

ზაირა ტყეშუჩავა, ასოცირებული პროფესორი

მიუთითეთ საჭირო დამატებითი ფინანსური, მატერიალური ან/და ადამიანური რესურსი, რაც საჭიროა დაგეგმილი აქტივობ(ებ)ის განხორციელებისთვის

უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების გადასაყვანად პრაქტიკის ობიექტზე ტრანსპორტი. თუმცა აქ ჩვენ პრობლემა არ გვქონია. დაგეგმილი და შერჩეული გვაქვს პრაქტიკის ობიექტები და თვეში 1-2 -ჯერ მოგვიწევს ობიექტზე მათი გადაყვანა.

მიუთითეთ დაგეგმილი აქტივობ(ებ)ის შესრულების თარიღი

სემესტრი დაწყებამდე

მიუთითეთ სტრუქტურული ერთეული/პირი/კოლეგიური ორგანო, ვისთანაც/სადაც განიხილეთ აღნიშნული გარემოება და მიიღეთ აქტივობ(ებ)ის განხორციელების გადაწყვეტილება

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობა ავტორიზაციის გეგმიური მონიტორინგის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულებაში

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ავტორიზაცია მიიღო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 20 თებერვლის N 02 გადაწყვეტილების საფუძველზე (იხილეთ ბმული: <https://eqe.ge/media/12655/N220.02.2020.pdf>), რომლის თანახმად დაწესებულებას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 2400-ით, მათ შორის ქ. ახალციხეში - 2100 ადგილი, ქ. ახალქალაქში - 300 ადგილი. (<https://eqe.ge/media/12655/N220.02.2020.pdf>).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების #MES 1 24 0000579856, 27.05.2024 წ. შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგი, ადგილზე ვიზიტით, ქ. ახალციხეში 2024 წლის 9-10 ივლისს. ავტორიზაციის გეგმიური მონიტორინგის შეფასების ფარგლებში შესწავლილ იქნა ინსტიტუციის მიმდინარე მდგომარეობა, წინა ავტორიზაციისა და ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ, 1 და 3 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშები. ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის მიერ შეფასდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტი და გაცემული იქნა რეკომენდაციები და რჩევები, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 2 24 0001216614; 26/09/2024 სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შესასრულებლად განესაზღვრა რეკომენდაციები (იხილეთ: 3.2 რეკომენდაციების ჩამონათვალი).

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 27 აგვისტოს MES 3 24 0001022340 დადგენილების საფუძველზე შექმნილ ჯგუფთან განხილული იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციები. სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის პასუხისმგებლობების სფეროები განისაზღვრა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შინაარსის, ავტორიზაციის სტანდარტებისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული, თუ ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების პერსონალის პასუხისმგებლობებისა და კომპეტენციის შესაბამისად.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 წლიანი სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და პასუხისმგებლობების სფეროები:

სამუშაო პროცესის კოორდინირება:

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სამსახური;

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და პასუხისმგებლობების სფეროები:

რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილეები, ფაკულტეტის დეკანები, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი, იურისტი, ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, რეგულირებადი პროგრამის ხელმძღვანელები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსია, რომელშიც რეკომენდაციები განაწილებული იყო ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნასთან ერთად სამუშაო ჯგუფის წევრებს გაეგზავნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 2 24 0001216614; 26/09/2024. რეკომენდაციების შესაბამისად მოგროვდა მასალა. ასევე სისტემაში იქნა მოყვანილი ის მასალა, რომელზეც ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის მიერ გაცემული იყო რჩევები, მაგრამ ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში არ იყო მოცემული. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოდიფიცირდა ან/და შეიქმნა ახალი კანონქვემდებარე აქტები, რომელთა განხილვა/დამტკიცება მოხდა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური/წარმომადგენლობით საბჭოების მიერ. რეკომენდაციების შესრულების პერიოდში ჩატარდა ვორქშოპები/ტრენინგები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი MES 2 24 0001216614; 26/09/2024 სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებში მითითებული იყოს შეფასებისთვის გაზომვადი ინდიკატორები;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

2022-2024 წწ-ის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმაში (2024 წლის დარჩენილ პერიოდში) აისახა რეკომენდაცია და მიეთითა შეფასებისთვის გაზომვადი ინდიკატორები.

აქვე განვმარტავთ, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2024 წლის 27 აგვისტოს ჩამოყალიბებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ერთ-ერთ პუნქტად დავალებული აქვს „შეიმუშაოს 2025 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი 2024 წლის 29 ნოემბრამდე“; სამუშაო ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, ამჟამად რეკომენდაციების ასახვა მიმდინარეობს 25 წლის სამოქმედო გეგმის პროექტში, რომელიც სათანადოდ იქნება განხილული და დამტკიცებული.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია ყველა აქტივობას ჰქონდეს გაწერილი შესრულების ვადა და ფინანსური უზრუნველყოფა, რათა ცხადი იყოს ბიუჯეტის რა ნაწილიდან ფინანსდება შესაბამისი აქტივობის შესრულება;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია, 2022-2024 წწ-ის სამოქმედო გეგმაში (2024 წლის

დარჩენილ პერიოდში) გაწერილია აქტივობების შესრულების ვადა. ასევე, აქტივობებს მიეთითა კონსოლიდირებული ბიუჯეტის გადასახდელების კონკრეტული მუხლები, საიდანაც ხდება შესაბამისი აქტივობის შესრულება.

აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება მომავალი წლების სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შემუშავებისას, რომელსაც უზრუნველყოფს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2024 წლის 27 აგვისტოს ჩამოყალიბებული სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებელი სამუშაო ჯგუფი.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია რეგულარულად ჩატარდეს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის დეპარტამენტის ხელმძღვანელების ჩართულობით; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

„სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ (დამტკიცებულია: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N3 დადგენილებით 12 თებერვალი 2019 წელი, ოქმი N1.) შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 27 აგვისტოს MES 3 24 0001022340 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებელი სამუშაო ჯგუფი რომლის შემადგენლობაში შედიან:

რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილეები, ფაკულტეტის დეკანები, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი, იურისტი, ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, რეგულირებადი პროგრამის ხელმძღვანელები.

წარმოდგენილი შემადგენლობა მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის დეპარტამენტების (სამსახურების) ხელმძღვანელებსაც.

დადგენილების თანახმად სამუშაო ჯგუფს განსაზღვრული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი ორ ეტაპად: „განახორციელოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და მოამზადოს მონიტორინგის ანგარიშები 2 ეტაპად: 2024 წლის 29 ნოემბრამდე და 2025 წლის 30 ივნისამდე“; განსაზღვრული ვადები უზრუნველყოფს მონიტორინგის პროცესის რეგულარულობას.

რეკომენდაცია:

საზოგადოების საჭიროებების კვლევის პარალელურად, რეკომენდებულია ინსტიტუციამ შეიმუშავოს საზოგადოებაში შეტანილი წვლილისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების მექანიზმი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საზოგადოებაში შეტანილი წვლილისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების ყველაზე მდგრად მექანიზმად მიიჩნია მათი სტრატეგიულ გეგმაში ასახვა, გაზომვადი ინდიკატორებით შეფასება. ვინაიდან წარმოდგენილი რეკომენდაცია ეხმიანება უნივერსიტეტის მესამე მისიას, დაწესებულების გადაწყვეტილებით მესამე მისია ცალკე იქნა შემუშავებული და ასე ინტეგრირდება სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. შემუშავებულია როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო

უნივერსიტეტის (სჯსუ) მესამე მისიის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე მესამე მისიის სამწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი. თითოეულ დაგეგმილ ღონისძიებას ახლავს გაზომვადი, კონკრეტული ინდიკატორები, რაც შეფასებას ხდის გამჭვირვალესა და სანდოს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მესამე მისიის ფორმირება მოახდინა „კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF)-ის პირველი საგრანტო პროექტის (EPIIC (MES- CIF-1-22) იმპლემენტაციის ნაწილში, „მესამე მისიის ხარისხის და შესაბამისობის განვითარება საქართველოს უნივერსიტეტებში.“ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის და საერთაშორისო თანამშრომლობის როლი უმაღლეს სასწავლებლების მე-3 მისიის განვითარებაში.

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ექსპერტების დახმარებით განხილულ და გაზიარებულ იქნა ამერიკული უნივერსიტეტისა და საქართველოს პარტნიორი უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის გამოცდილება, ის ძირითადი საზოგადოებრივი ინტერესები, რაც მოეთხოვება თანამედროვე საჯარო უნივერსიტეტს. შედეგად მიღებულ იქნა საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული მესამე მისია.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პრაქტიკაში განახორციელოს დაგეგმილი ორგანიზაციული ცვლილებები და შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების დროულად ჩამოყალიბება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმის ეფექტიანად შესრულება.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აკადემიურ საბჭოს წარუდგინა საშტატო განრიგის სამუშაო ვერსია, რომელიც განხილულ იქნა აქამდე ყველა სამსახურთან და დაინტერესებულ მხარესთან. აკადემიური საბჭოს წევრების მხრიდან გამოითქვა რამდენიმე რეკომენდაცია. ამ ეტაპზე ჩანიშნულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა (2024 წლის 26 ნოემბერი), რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად დაესწრებიან მხარეები და დამტკიცდება საშტატო განრიგი.

რეკომენდაცია:

სასურველია გაგრძელდეს მუშაობა და გრძელვადიან სტრატეგიად დაისახოს უნივერსიტეტმა იმ აქტივობების განგრძობადი განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს პერსონალისა და სტუდენტებისათვის ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის მიერ გაცემული რჩევა გათვალისწინებულია. უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის განახლდა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები. სწავლება მიმდინარეობს უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით.

რეკომენდაცია:

რეკომენდირებულია დაწესებულებამ კიდევ ერთხელ გადახედოს ახალი სტრუქტურის პროექტს, გაითვალისწინოს უნივერსიტეტის მასშტაბი, ფინანსური და ადამიანური რესურსი და მოახდინოს სამსახურების ოპტიმიზაცია; უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების, ხელშეწყობისა და დაგეგმილი ამოცანების შესრულების გათვალისწინებით, ასევე ოპტიმალურია კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის არსებობა.

საშტატო განრიგი სამუშაო ვერსია, რომელიც განხილულია ყველა სამსახურში, მათ შორის საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებლად განიხილა აკადემიურმა საბჭომ, გათვალისწინებულია კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, კერძოდ, კვლევების ხელშეწყობისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია განისაზღვროს ინტერესთა კონფლიქტის ცნება, სტრუქტურული ერთეულების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.

რეკომენდაცია შესრულებულია.

სტრუქტურული ერთეულების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვისთვის, რაც ძირითადად გამოიხატებოდა პროგრამის ხელმძღვანელებად ხარისხის სამსახურის თანამშრომლების დანიშვნაში, დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა მარეგულირებელ დოკუმენტებში (სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში (აკადემიური საბჭოს MES 3 24 0001170046 დადგენილება), სადაც ნათლად გაიწერა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი და/ან სპეციალისტი. ეს რეგულაცია გამორიცხავს შემდგომში ინტერესთა კონფლიქტს. ასევე ცვლილებები შევიდა პროგრამების იმ პუნქტებში, რომელიც ეხებოდა პროგრამის ხელმძღვანელებს ((სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში (აკადემიური საბჭოს 20/09/2024 , MES 3 24 0001170058 დადგენილება).

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია განახლდეს დოკუმენტი - „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რათა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მიდგომებს პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაციის შესასრულებლად სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განაახლა დოკუმენტი - „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც ეფუძნება, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“ და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივ აქტებს.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ვაკანტური საშტატო ერთეულების შევსება, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი განხორციელებისათვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ყველა ფაკულტეტს, ყველა ფაკულტეტმა გაიზიარა რეკომენდაციის შესრულების აუცილებლობა. საანგარიშო პერიოდში სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდა კონკურსი. აღნიშნულ თანამდებობაზე არჩეულია ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დალი ბეთხოშვილი (იხილეთ შემაჯამებელი ოქმი).

უნივერსიტეტში პროცესი დაწყებულია, ეტაპობრივად გაგრძელდება ვაკანსიების გამოცხადება.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია შემუშავდეს მკაფიო და ნათელი პროცედურები და გაზიარდეს თანამშრომელთა შორის შეფასების შედეგების შესაბამისი რეაგირების, წახალისების/მოტივაციის, მათი პროფესიული/პიროვნული განვითარებისა თუ სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ; მათ შორის მკაფიოდ განისაზღვროს აფილირების პირობების და აფილირებული პერსონალის ხელშეწყობის მექანიზმები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად დოკუმენტში „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“ (დამტკიცებულია: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი #6 დადგენილება #19; 13.03.2018 წ.) განხორციელდა ცვლილება, მე-4 პუნქტში „აფილირებული აკადემიური პერსონალი“ ჩამატა შემდეგი შინაარსის დებულებები:

დ) აფილირებულ აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

- უსასყიდლოდ ისარგებლოს უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით;
- უსასყიდლოდ ისარგებლოს უნივერსიტეტის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებით;
- უნივერსიტეტის თანადაფინანსებით ისარგებლოს ჯამრთელობის დაზღვევით;
- პროფესიული განვითარების მიზნით, 5 წელიწადში ერთხელ ისარგებლოს ანაზღაურებადი სამეცნიერო შვებულებით (აკადემიური შვებულება) ერთი აკადემიური კალენდრით დადგენილი სემესტრის ვადით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.
- უნივერსიტეტის მხრიდან სრული ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფით მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და სიმპოზიუმებზე;
- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების და მეცნიერული კვლევების შედეგების გამოქვეყნებაში ისარგებლოს უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობით;
- სახელმძღვანელოების/წიგნების გამოცემაში ისარგებლოს უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობით.

აღნიშნული წესი გაზიარდა საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან და დაინტერესებულ მხარეებთან. აგრეთვე ატვირთულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია დადგინდეს სამიზნე ნიშნულები ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად განახლდა დოკუმენტი „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტის „თავი III. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმები, მუხლი 9. სამიზნე ნიშნულები“ მოიცავს რეკომენდაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. კერძოდ,

მუხლი 9. სამიზნე ნიშნულები

მუხლი 9. სამიზნე ნიშნულები

9.1. უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა შემდეგ კომპონენტებთან:

- ა. სასწავლო ფართის ოდენობა;
- ბ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- გ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა;
- დ. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;

9.2. სტუდენტთა კონტინგენტის გამოთვლის ფორმულა (ჯამური ოდენობა):

ა. სასწავლო ფართი (კვ.მ)/ 2-ზე;

ბ. აკადემიური პერსონალის რაოდენობა x 30-ზე (სტუდენტთა რაოდენობა);

გ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - კომპიუტერებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების რაოდენობა x 15 სტუდენტზე;

დ. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა x 60-ზე (სტუდენტთა რაოდენობა);

9.3. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესრულების მტკიცებულებები/ინდიკატორები

ა) დოკუმენტაცია ფლობის შესახებ;

ბ) ვიზუალური დათვალიერება;

გ) ინტერვიუება

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	76
- პროფესორი	25
- ასოცირებული პროფესორი	47
- ასისტენტ პროფესორი	4
- ასისტენტი	-
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	-
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	76
- აფილირებული პროფესორი	25
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	47
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	4
- აფილირებული ასისტენტი	-
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	89
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	77

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია ლექტორების დატვირთვის განაწილება რეგულარულად აისახოს QMS ბაზაში.

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციის შესასრულებლად სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ განახლდა და სრულყოფილად აისახა უნივერსიტეტში დატვირთული ლექტორების მონაცემები QMS ბაზაში.

რეკომენდაცია შესრულებულია.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია ინსტიტუციამ გაზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რათა უზრუნველყოს დადგენილ სამიზე ნიშნულებთან შესაბამისობა, სტუდენტთა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა განათლების მიმართულებით საჭიროდ მიიჩნია ორი ვაკანსიის გამოცხადება აკადემიურ თანამდებობაზე. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება წარდგენილია აკადემიური საბჭოს წინაშე.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია დაწესებულების მართვის ორგანოებში (ფაკულტეტის საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოში) სტუდენტთა არჩევის წესი შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში გაიწეროს გამჭვირვალედ და მკაფიოდ, ამავდროულად, დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდოთ ინფორმაცია აღნიშნული წესის შესახებ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციის შესასრულებლად მოდიფიცირდა დოკუმენტი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულება“ (დამტკიცებულია: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის N92 დადგენილებით). გამოიცა ახალი დადგენილება „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის N92 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის საფუძველზე დებულების გარკვეულ მუხლებში შევიდა ცვლილებები. კერძოდ,

მე-4 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატა 1¹ პუნქტი, მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატა 6¹ პუნქტი და 1¹, მე-2 და 6¹ პუნქტები ჩამოყალიბდნენ შემდეგი რედაქციით:

„1¹. რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევი აკადემიური პერსონალის და სტუდენტის რაოდენობა თითოეული ფაკულტეტიდან, არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რეგისტრაციის ვადა და არჩევნების ჩატარების დღე.“;

„2. წარმომადგენლობით საბჭოს არჩევნებში დარეგისტრირებული კანდიდატებიდან სტუდენტებს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, გარდა სტატუს შეჩერებული სტუდენტებისა.“;

„6¹. არჩევნებში მონაწილე კანდიდატთაგან გამარჯვებულად ითვლებიან კანდიდატები, რომელთაც ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვეს.“;

მე-17-ე მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატა 1¹ პუნქტი, მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატა 2¹ პუნქტი და ჩამოყალიბდნენ შემდეგი რედაქციით:

„1¹. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა ასარჩევად სტუდენტურ თვითმმართველობაში იმავე ფაკულტეტზე არჩეული წევრებიდან სტუდენტური თვითმმართველობა ირჩევს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რაოდენობის სტუდენტებს და წარუდგენს შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს.“;

„2¹. ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტს სტუდენტური თვითმმართველობის წევრის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილება. ასეთ შემთხვევაში სტუდენტური თვითმმართველობა ირჩევს და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ახალი წარმომადგენელს.“;

რეკომენდაცია:

სტუდენტთა ეფექტიანი ინფორმირებისა და კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, რეკომენდებულია, დაწესებულებამ კორპორაციული ელ. ფოსტით სარგებლობის შესაძლებლობა შესთავაზოს სტუდენტებსაც.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციის შესასრულებლად „სტუდენტთა ეფექტიანი ინფორმირებისა და კომუნიკაციის გამარტივების მიზნით, რეკომენდებულია, დაწესებულებამ კორპორაციული ელ. ფოსტით სარგებლობის შესაძლებლობა შესთავაზოს სტუდენტებსაც“ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ თითოეული სტუდენტისთვის შეიქმნა კორპორაციული მეილები.

რეკომენდაცია:

გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია უსდ-მ შეიმუშავოს და უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთა ინფორმირება საგრანტო კონკურსისა და კვლევის დაფინანსების მოპოვების წესის, ვადების, მონაწილეთა პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულებების, საკონკურსო განაცხადების შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად უნივერსიტეტი მოგახსენებთ, რომ უსდ-ს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფცია“ („დამტკიცებულია“ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 20.12.2020 წ. დადგენილება №80). სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფციის მიზანია, საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო კვლევის ორგანიზებისა და განვითარების მხარდაჭერის მექანიზმების, კვლევის განმახორციელებელი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების, კვლევის მიმართულების განსაზღვრა და კვლევითი საქმიანობის განხორციელების ზოგადი პოლიტიკის ჩამოყალიბება. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში ჩართულობა არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ მუხლებს: კონცეფციის მიზნები და ამოცანები, უნივერსიტეტის კვლევის პოლიტიკა, კვლევის პოლიტიკის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან, ხედვასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, კვლევის პრინციპები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, ეთიკის კომიტეტის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები, ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა, დანიშვნა და ფორმირების წესი, ეთიკის კომიტეტის მუშაობის წესი, განაცხადის წარდგენა ეთიკის კომიტეტში, კვლევის გეგმის ეთიკური შეფასება და გადაწყვეტილების მიღება, კვლევის მიმდინარეობაზე მონიტორინგი და მგლევარის ვალდებულება, ინტერესთა კონფლიქტი, კონფიდენციალობა, გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა (სამეცნიერო -კვლევითი ღონისძიებების საუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემა), სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამებში, სამეცნიერო საქმიანობის სტანდარტები (სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების წესი და პირობები).

დოკუმენტში თითოეული მუხლი მოიცავს კიდევ უფრო ღრმა შინაარსის დებულებებს. მაგალითად, **მუხლი 4. კვლევის პრინციპები** შედგება შემდეგი სახის ინფორმაციისგან: 4.1 სამეცნიერო მოღვაწეობის თავისუფლება, 4.2. შიდა სამეცნიერო კვლევითი გრანტები; საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა: პროექტში მონაწილეობის უფლება; სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების ზოგადი მიმართულებები: დაფინანსების წყაროები და ადმინისტრირება: დაფინანსება და საგრანტო ხელშეკრულების პირობები და სხვ.

დოკუმენტში „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფცია“ ბოლო ცვლილებები განცხადდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 04.04.2024 წლის დადგენილება MES 6 24 0000392927.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია ოთხივე კორპუსის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული სივრცეები სრულად იქნეს უზრუნველყოფილ სავენტილაციო სისტემებით.

სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიერ ჩატარებული სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, უნივერსიტეტის კორპუსებს არ ესაჭიროება კვამლსაწინააღმდეგო სავენტილაციო სისტემები.

რაც შეეხება სივრცეების კონდეციერების სისტემებს, უნივერსიტეტმა სტუდენტების და პერსონალის თავშეყრის ადგილებში (სააქტო და საკონფერენციო დარბაზები) დაამონტაჟა კედლის კონდეციონერები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეტაპობრივად იგეგმება საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ სივრცეებში კედლის კონდეციონერების შეძენა და მათი მონტაჟი.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს მშენებარე საუნივერსიტეტო ვეტერინარული კლინიკის სრული რეკონსტრუქცია, საერთაშორისო სტანდარტებისა და ბიოუსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტმა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტს წარუდგინა ახალი საუნივერსიტეტო ვეტერინარული კლინიკის გეგმები და მოითხოვა დაფინანსების გამოყოფა სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად.

დაფინანსების მიღებისთანავე საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდება ვეტერინარული კლინიკის მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტებისა და ბიოუსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია საევაკუაციო გასასვლელი კარი არ იყოს რკინის კონსტრუქციის; ასევე, უსაფრთხოების შესაბამისი ინსტრუქციები და საევაკუაციო გეგმები განთავსდეს ინგლისურ ენაზეც

რეკომენდაცია:

სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიერ ჩატარებული სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, უნივერსიტეტის კორპუსებში საევაკუაციო გასასვლელი ყველა კარი ეტაპობრივად მოყვანილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

შემოწმების პერიოდში უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის სააქტო დარბაზის საევაკუაციო გასასვლელის კარი არ იღებოდა საევაკუაციო გასასვლელის მიმართულებით. დღეის მდგომარეობით საევაკუაციო გასასვლელი კარი მოყვანილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

უსაფრთხოების შესაბამისი ინსტრუქციები და საევაკუაციო გეგმები უნივერსიტეტში განთავსებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია დაწესებულებამ აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ელექტრონული პორტალის შექმნის მიმართულებით, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველა ის ფუნქცია და ინფორმაცია, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანი და გამართული მიმდინარეობის ხელშეწყობისთვისაა საჭირო; ასევე, უზრუნველყოფილ იქნეს პედაგოგების მიერ, სტუდენტთა შეფასებების დამოუკიდებლად ასახვის შესაძლებლობა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად უნივერსიტეტმა გააგრძელა მუშაობა ელექტრონული პორტალის შექმნის მიმართულებით, რომელშიც თავმოყრილია ყველა ის ფუნქცია და ინფორმაცია, რაც სასწავლო პროცესის ეფექტიანი და გამართული მიმდინარეობისთვისაა საჭირო, აგრეთვე, უზრუნველყოფილა ლექტორების მიერ, სტუდენტთა შეფასებების დამოუკიდებლად ასახვის შესაძლებლობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების თანამშრომლის მიერ, ლექტორების სხვადასხვა ჯგუფებთან ჩატარდა სამუშაო ტრენინგები აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შეფასების შეტანასთან დაკავშირებით.

• დაწესებულების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები

- უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები გააზრებულია, გაზიარებულია და საფუძველია სტრატეგიული გეგმისა და უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობებისა;
- სტრატეგიული დაგეგმვა შესრულდა შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურად შესაძლო ჩართულობით;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია შემუშავებულია PDCA-ციკლის გამოყენებით,
- შესაბამისად, უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული გეგმის გაუმჯობესება დაფუძნებულია PDCA- ციკლზე;
- უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმაში ნათლად არის ჩამოყალიბებული განსახორციელებელი აქტივობები, განსაზღვრულია განხორციელების ვადები; შესრულების კრიტერიუმები და შესასრულებლად საჭირო რესურსი, ასევე განსაზღვრულია მონიტორინგის ვადები და მონიტორინგის განმხორციელებლები;
- უნივერსიტეტის წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში, რისთვისაც გეგმავს და ახორციელებს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა ღონისძიებებს.
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლებრივი აქტებით დაცულია აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლება; დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან წარმატებული ურთიერთობების გამოცდილება;
- ორ გეოგრაფიულ პუნქტში მდებარეობა და მატერიალური ბაზის სრულყოფისათვის საჭირო ტერიტორიის (სივრცის) ფლობა. კრიზისული წინააღმდეგობებისა და პრობლემების დაძლევის გამოცდილება.
- უნივერსიტეტს აქვს მართვის პოლიტიკა, დაფუძნებული მართვის პრინციპებზე, მართვის ორგანოები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტურად და დროულად განხორციელებას; უნივერსიტეტის მართვის

სიტყვაში აქცენტი აღებულია ეთმობა მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვაზე უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) შეფასების წესი, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმები და მონიტორინგის შედეგებს ითვალისწინებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარები მექანიზმების განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები;
- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შემუშავებული აქვს და მოქმედებს „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის დამდგენი კომისიის საქმიანობის წესი“, რომელიც ითვალისწინებს პლაგიატის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების მექანიზმებს;
- უნივერსიტეტს სტუდენტებისა და პერსონალისათვის შემუშავებული აქვს ეთიკისა და ქცევის წესები და
- განსაზღვრული აქვს მათ დარღვევაზე რეაგირების შესაბამისი პროცედურები.
- პროგრამები ხორციელდება უნივერსიტეტში, რომლის გეოგრაფიული მდებარეობა რეალურად პროგრამებით გათვალისწინებული კვლევების შესწავლის ერთ-ერთი დამატებითი არეალია, რაც ნიშნავს, რომ პროგრამას კვლევის სფეროსთან ერთად განსაზღვრული აქვს საკუთარი თემატიკა.
- საგანმანათლებლო პროგრამების ორიენტირება დარგის თანამედროვე პრობლემატიკაზე უახლესი კვლევების შედეგების გათვალისწინებით.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის მიზნების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან, სტრუქტურის შესაბამისობა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ კვლევით სასწავლო-თემატიკასთან, რაც განაპირობებს პროგრამების როგორც კვლევითი, ისე სასაწვლო კომპონენტის სპეციფიკას და საგანმანათლებლო პროგრამებს შორის შინაარსობრივი ბმას;
- სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიისა და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენება;
- საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების, მათი ერთობლიობისა და სწავლების მეთოდების შესაბამისობა უმაღლესი განათლების სათანადო საფეხურთან;
- ელექტრონული (შესაბამის საფეხურებზე) და ელექტრონული რესურსით სწავლებაზე და სწავლა/სწავლების მეთოდები მორგებულია სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან ერთად ახორციელებს საერთაშორისო პროექტს (Erasmus + INTEGRITY), რომლის მიზანია სტუდენტთა პლაგიატის აღმოფხვრა და აკადემიური წერის უნარების განვითარება.
- Erasmus + პროექტებში შემუშავებული ინოვაციური მეთოდებისა და შეფასების თანამედროვე ინსტრუმენტების ფართოდ დანერგვა, ხელს უწყობს სტუდენტთა სწავლის ხარისხისა და მოტივაციის ამაღლებას, რომელიც პასუხობს 21-ე საუკუნის გამოწვევებს და სტუდენტს საშუალებას აძლევს წარმატებით დასაქმდეს შრომით ბაზარზე.
- მაგისტრანტთა და დოქტორანტთა კმაყოფილება როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვით, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პერსპექტივით, ასევე სათანადო კონსულტაციის დროულად მიღებით.
- „ჰორიზონტი ევროპის“ საგრანტო ოფისის არსებობა და მის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები. კომფორტული გარემო როგორც სწავლისა და კვლევისათვის, ასევე ადმინისტრირების კუთხით.

- პროგრამებში ჩართული მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის რაოდენობა, დოქტორანტთა და ხელმძღვანელთა თანაფარდობა, რაც შესაბამისად განაპირობებს კვლევის პროცესის ხარისხსა და შედეგს.
- პროგრამების ხელმძღვანელთა ხანგრძლივი გამოცდილება, სათანადო კომპეტენცია და უშუალო ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა და მდგრადობა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირების უწყვეტი პროცესი; ყველა აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირება, რაც სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების
- მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.
- სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორების ჩართულობა.
- პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის პროგრამაში ჩართული პერსონალისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის შეფასების, დაგეგმვის ინსტრუმენტების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კვლევებზე რეაგირება და უკუკავშირის მექანიზმები.
- პროგრამასთან მიმართებით აღნიშნული სტანდარტის ძლიერ მხარედ ითვლება, Erasmus+-ის integrity-ის პროექტში ჩართულობას, რომელიც ეხება პლაგიატის პრევენციას.
- ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობაში, მონაწილეობენ როგორც პროგრამის შემუშავების პროცესში, ასევე, პროგრამის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშების მომზადებაში.
- პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია რეალურად მოქმედებს და პროგრამებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულია კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლის უკუკავშირი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები
- პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა სისტემური და გამჭვირვალე პროცესია.
- სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამები იყენებს შიდა ხარისხის შეფასებას, რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და გასავითარებლად. შიდა შეფასებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელებთან ერთად, ასევე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით).
- უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკას, რომელიც მოიცავს პერსონალის მართვის პრინციპებსა და წესებს, სამსახურში მიღების გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურებს და უზრუნველყოფს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციაზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და მიღებას; პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, თითოეულ პროგრამაზე ითვალისწინებს სტუდენტთა არსებულ და მისაღებ კონტიგენტს, პროგრამის სპეციფიკას და საუეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.
- უნივერსიტეტში შექმნილია პირობები სტუდენტებისთვის მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობებში; კურიკულუმის გარე აქტივობებში (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი აქტივობები).

- აგრეთვე აქვს სტუდენტთა წახალისების, სტუდენტური ინიციატივების მხარდამჭერი და ხელშემწყობი მექანიზმები;
- უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ახორციელებს მათ მხარდამჭერ ღონისძიებებს: სტიპენდია, სწავლის საფასურის მოქნილი სისტემა;
- უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდამჭერი მექანიზმები, რომლის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.
- სტუდენტებთან უწყვეტი კომუნიკაციის მექანიზმები;
- სტუდენტების და კურსდამთავრებულთა კარიერული წინსვლის ხელშეწყობა;
- დაწესებულება ახორციელებს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს, რომელთაც აქვს რეგიონულ, ეროვნულ დონეზე მნიშვნელობა და წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში;
- დაწესებულებას აქვს ჩამოყალიბებული ხედვა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების კუთხით და გააჩნია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევის პოლიტიკა;
- უნივერსიტეტს აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული დოქტორანტის ხელმძღვანელის ფუნქციები და უზრუნველყოფს დოქტორანტებს კვალიფიციური ხელმძღვანელებით;
- უნივერსიტეტი ხელს უწყობს ისეთ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ცოდნის, მידგომებისა და ხედვების ჩამოყალიბებას;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და წახალისებისთვის უნივერსიტეტი ფინანსური დაგეგმვის დროს ითვალისწინებს კვლევითი საქმიანობის დაფინანსების, თანადაფინანსების საჭიროებებს;
- უნივერსიტეტი ხელს უწყობს ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებას. ასევე უცხოელი და ადგილობრივი პროფესორების ერთობლივ თანახელმძღვანელობას;
- უნივერსიტეტში რეგულარული ხასიათი მიეცა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებასა და ანალიზს;
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (უძრავი და მოძრავი ქონება) სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მისიით განსაზღვრულ მიზნებს;
- მოწესრიგებული კომუნალური მეურნეობა (მუდმივი ელექტროენერგიის და სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდება, გამართული ცენტრალური გათბობის სისტემა, სანიტარული კვანძები და სათავსების ბუნებრივი განათება) ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართული ინფრასტრუქტურა;
- უსდ-ს გააჩნია სტაბილური დაფინანსების წყაროები და მისი თანაზომიერი განაწილება.

გასაუმჯობესებელი მხარეები

- უნივერსიტეტის სტრუქტურის ფორმირება ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად.
- უწყვეტი განათლების ცენტრში საჭიროა მეტი მრავალფეროვანი კურსისა და ტრენინგ-კურსის განხორციელება;
- თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოში არსებულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან.
- ევროპელ პარტნიორებთან ურთიერთობების გაფართოება; უცხოელი პერსონალის ჩართულობის გაზრდა.
- გასაუმჯობესებელ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ საჭიროა უნივერსიტეტს ჰქონდეს უფრო მეტი შესაძლებლობა, რომ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ჩართონ საერთაშორისო

გაცვლით პროგრამებში.

- საერთაშორისო და ეროვნულ საგრანტო პროექტებსა და სამეცნიერო ნაშრომებში სტუდენტთა ჩართულობა.
- სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიისთვის მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- ახალგაზრდა პერსონალის მოზიდვა და მათთვის დაინტერესების მექანიზმების სრულყოფა.
- უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოსაზიდად საჭიროა შესაბამისი რესურსის მობილიზება როგორც მატერიალური, ისე ფინანსური და ადამიანური თვალსაზრისით
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის სრულყოფილად ასამოქმედებლად საჭიროა მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება საქმიანობის ხარისხზე.
- გასააქტიურებელია ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავების პროცესი შესაბამისი პროფესურით;
- გასაუმჯობესებელია საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან კონტაქტები ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შექმნის კუთხით აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირების ამაღლება მუდმივად ცვლებად გარემოსთან დაკავშირებით, რათა რეაგირება იყოს დროული;
- თვითშეფასების კომპონენტების გაძლიერება თითოეულ თანამშრომელში, რაც ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობის ამაღლებას.
- კონკურენტუნარიანი გარემოს გაძლიერება და კარიერული წინსვლის კრიტერიუმების დახვეწა;
- უნივერსიტეტმა მეტი ინფორმაცია უნდა მოაგროვოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ, მეტად უნდა გამოიყენოს კურსდამთავრებულთა რესურსი. გასაძლიერებელია კარიერული ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის მხრიდან ფინანსური რესურსების გამოყოფა ინტერდისციპლინურ და საერთაშორისო ერთობლივი სამეცნიერო კვლევების გაღრმავებისთვის;
- ბიზნესის (მეწარმეების) ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
- საჭიროა ერთობლივი საერთაშორისო ღონისძიებების დაგეგმვა, რომელსაც მუდმივმოქმედი ხასიათი ექნება და ხელს შეუწყობს ერთობლივი კვლევების მდგრად განხორციელებას;

გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად დაგეგმილი აქტივობები

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების დამტკიცების შემდეგომი პერიოდი.
- პროგრამებზე გამოცხადების პროცესზე დაკვირვება, ანალიზი და შედეგებზე რეაგირება - 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი და პერიოდულად პროგრამების გამოცხადების შესაბამისად.
- საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება პარტნიორი უნივერსიტეტების ჩართულობით: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 2025-2026 სასწავლო წლის იანვარში; ზაფხულისა და ზამთრის სკოლების ორგანიზება.
- უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების წარმომადგენელთან აქტიური მუშაობა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, გაცვლითი პროგრამების მოძიება და სტუდენტთა აქტიურობისთვის მეტი საინფორმაციო კამპანიის წარმოება - სისტემატურად.
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო/სასწავლო საგრანტო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება. მიღებული გამოცდილების იმპლემენტაცია საუნივერსიტეტო საზოგადოებაში - სისტემატურად.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების

განყოფილების წარმომადგენელთან აქტიური მუშაობა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, გაცვლითი პროგრამების მოძიება და სტუდენტთა აქტიურობისთვის მეტი საინფორმაციო კამპანიის წარმოება (საანგარიშო პერიოდში).

- უცხოელი კოლეგების მოწვევა საჯარო ლექციების წასაკითხად და მასტერკლასების ჩასატარებლად (საერთაშორისო ვიზიტორის პროგრამის დანერგვა).
- საერთაშორისო და ეროვნულ საგრანტო პროექტების შედგენის მეთოდოლოგიაზე ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგების დაგეგმვა.
- სამთავრობო, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა და კონსტრუქციული ურთიერთობა.
- „უცხოენოვანი სახელმძღვანელოების თარგმნის პროექტის“ განხორციელება და ამ მიზნით აშშ საელჩოს ყოველწლიური საგრანტო კონკურსში „წიგნის თარგმნის პროექტში“ მონაწილეობის მიღება, ასევე ამ მიმართულებით შიდა საუნივერსიტეტო გრანტების მაქსიმალურად გამოყენება.